საქართველოს
ეროვნული ბანკი

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი

2015

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი

2015

საქართველოს ეროვნული ბანკი

კრებული მომზადდა საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს მე-6 რედაქციის მეთოდოლოგიისა (სსფ, 2009 წ.) და საგარეო ვალის სტატისტიკის შემდგენელთა და მომხმარებელთა სახელმძღვანელოს შესაბამისად (სსფ, 2013 წ.)

თბილისი 2016

სარჩევი

1. მეთოდოლოგიური მიმოხილვა 5
1.1 საგადასახდელო ბალანსის მეთოდოლოგიური სტანდარტები 5
1.2 საინვესტიციო პოზიციის მეთოდოლოგიური სტანდარტები 12
1.3 საგარეო ვალის მეთოდოლოგიური სტანდარტები 13
2. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, 2015 წელი 15
2.1 ზოგადი მიმოხილვა 15
2.2 მიმდინარე ანგარიში 18
2.2.1 საქონელი 18
2.2.2 მომსახურება.....26
2.2.3 პირველადი შემოსავალი.....31
2.2.4 მეორადი შემოსავალი 33
2.3 კაპიტალის ანგარიში.....35
2.3.1 კაპიტალური ტრანსფერები 35
2.4 ფინანსური ანგარიში 37
2.4.1 პირდაპირი ინვესტიციები.....37
2.4.2 პორტფელის ინვესტიციები 38
2.4.3 ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე 39
2.4.4 სხვა ინვესტიციები 39
2.4.5 საერთაშორისო რეზერვები.....41
3. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია 42
4. საგარეო ვალი 44
5. მონაცემთა წყაროს აღწერა 48
6. დანართები 52
დანართი 1. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, სტანდარტული წარმოდგენა, 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი).....52
დანართი 2. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, ანალიტიკური წარმოდგენა, 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი).....70
დანართი 3. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, კვარტალური, სტანდარტული წარმოდგენა, 2015 წელი (მლნ აშშ დოლარი) 71
დანართი 4. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, კვარტალური, ანალიტიკური წარმოდგენა, 2015 წელი (მლნ აშშ დოლარი).....89
დანართი 5. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, კვარტალური, სტანდარტული წარმოდგენა, შემოკლებული, 2015 წელი (მლნ აშშ დოლარი) 91

დანართი 6. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, 2011-2015 წლები (მლნ აშშ დოლარი) 92
დანართი 7. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, 2015 წლის I კვარტალი (მლნ აშშ დოლარი) 99
დანართი 8. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, 2015 წლის II კვარტალი (მლნ აშშ დოლარი) 108
დანართი 9. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, 2015 წლის III კვარტალი (მლნ აშშ დოლარი) 117
დანართი 10. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, 2015 წლის IV კვარტალი (მლნ აშშ დოლარი) 126
დანართი 11. საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი, 2011-2015 წლები (მლნ აშშ დოლარი).....134
დანართი 12. საქონლის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, 2011-2015 წლები (ათასი აშშ დოლარი).....138
დანართი 14. ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2011-2015 წლები (ათასი აშშ დოლარი) 145
დანართი 15. იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2011-2015 წლები (ათასი აშშ დოლარი) 149
დანართი 16. ძირითადი საქონლის ექსპორტი თურქეთში, 2011-2015 წლები (ათასი აშშ დოლარი) 153
დანართი 17. ძირითადი საქონლის იმპორტი თურქეთიდან, 2011-2015 წლები (ათასი აშშ დოლარი) 153
დანართი 18. ძირითადი საქონლის ექსპორტი აზერბაიჯანში, 2011-2015 წლები (ათასი აშშ დოლარი) 154
დანართი 19. ძირითადი საქონლის იმპორტი აზერბაიჯანიდან, 2011-2015 წლები (ათასი აშშ დოლარი) 155
დანართი 20. ძირითადი საქონლის ექსპორტი რუსეთში, 2011-2015 წლები (ათასი აშშ დოლარი) 155
ათასი აშშ დოლარი.....156
დანართი 21. ძირითადი საქონლის იმპორტი რუსეთიდან, 2011-2015 წლები (ათასი აშშ დოლარი) 156

1. მეთოდოლოგიური მიმოხილვა

პუბლიკაცია ასახავს საქართველოს საგარეო სექტორის სტატისტიკას და შეიცავს საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციისა და ქვეყნის საგარეო ვალის სტატისტიკურ ანგარიშებს. სტატისტიკური ანგარიშები შევსებულია კომენტარებით, დამატებითი ანალიტიკური ცხრილებით, შედგენის მეთოდოლოგიის აღწერითა და ინფორმაციის წყაროების ჩამონათვლით.

მონაცემები და კომენტარები მომზადდა საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს მე-6 რედაქციის მეთოდოლოგიისა (სსფ, 2009) და საგარეო ვალის სტატისტიკის შემდგენელთა და მომხმარებელთა სახელმძღვანელოს (სსფ, 2013 წ.) შესაბამისად.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია და საგარეო ვალი დგება კვარტალური და წლიური პერიოდულობით და გამოისახება აშშ დოლარში. აღნიშნული დოკუმენტები არ მოიცავს ინფორმაციას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული საგარეო ეკონომიკური ოპერაციების შესახებ.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციისა და საგარეო ვალის გადახედვა რეგულარულად წარმოებს და შეიძლება შეეხოს ნებისმიერ პერიოდს. წინამდებარე კრებულში გათვალისწინებულია 2016 წლის 30 სექტემბრისათვის არსებული ყველა შესწორება.

1.1 საგადასახდელო ბალანსის მეთოდოლოგიური სტანდარტები

საგადასახდელო ბალანსი არის მაკროეკონომიკური სტატისტიკური ანგარიში, რომელიც სისტემური სახით ასახავს დროის განსაზღვრულ პერიოდში მოცემულ ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ტრანზაქციებს (კვარტალი, წელი). ინფორმაციის კლასიფიკაცია და კომპილაცია ხდება საერთაშორისო სტანდარტების, საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს (მეექვსე რედაქციის) შესაბამისად.

განმარტებები და ძირითადი პრინციპები

სტრუქტურულად საგადასახდელო ბალანსი შედგება: მიმდინარე ანგარიშის, კაპიტალის ანგარიშისა და ფინანსური ანგარიშისაგან. მიმდინარე ანგარიში მოიცავს საქონელითა და მომსახურებით ვაჭრობის ბალანსს, პირველადი შემოსავლებისა და მეორადი შემოსავალების ბალანსებს. კაპიტალის ანგარიშში აისახება: არამწარმოებლური არაფინანსური აქტივების შეძენა/გაცემა და კაპიტალური ტრანსფერები. ფინანსური ანგარიში მოიცავს: პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა და სარეზერვო აქტივებს.

მიმდინარე ანგარიშისა და კაპიტალის ანგარიშის ჯამი წარმოადგენს მოცემული ეკონომიკის წმინდა დაკრედიტებას ან წმინდა სესხებას დანარჩენი მსოფლიოს მიმართ. ის კონცეპტუალურად ტოლია ფინანსური ანგარიშის წმინდა ბალანსის.

ფინანსურ ანგარიშს დამატებული სხვა ცვლილებები (მარაგების გათვალისწინებით) გვიჩვენებს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის ცვლილებას პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს შორის.

საგადასახდელო ბალანსში აისახება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის განხორციელებული ოპერაციები.

ეკონომიკური ერთეული ითვლება **რეზიდენტად**, თუ მისი **ეკონომიკური ინტერესის ცენტრი** და მუდმივი ადგილსამყოფელი არის ქვეყნის **ეკონომიკურ ტერიტორიაზე** ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მოქალაქეობა მხედველობაში არ მიიღება.

ქვეყნის **ეკონომიკური ტერიტორია** შედგება მისი მთავრობის მიერ ადმინისტრირებული გეოგრაფიული ტერიტორიისგან, სადაც ადამიანები, საქონელი და კაპიტალი თავისუფლად მოძრაობენ და ემორჩილებიან ერთიან ფისკალურ და მონეტარულ ხელისუფლებას. ეკონომიკური ტერიტორია ასევე მოიცავს: საჰა-

ერო სივრცეს, ტერიტორიულ წყლებს, ტერიტორიებს საერთაშორისო წყლებში, სადაც ქვეყანა სარგებლობს ექსკლუზიური უფლებებით, ტერიტორიულ ანკლავებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, როგორიცაა საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები, თავისუფალი ზონები და ა.შ. თავის მხრივ, მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიად არ ჩაითვლება სხვა ქვეყნების ტერიტორიული ანკლავები, რომლებიც აღნიშნული ქვეყნის გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

ითვლება, რომ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს ეკონომიკური ინტერესის ცენტრი ამა თუ იმ ქვეყანაში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე არსებობს მისი საცხოვრებელი ადგილი, წარმოების ადგილი ან სხვა უძრავი ქონება, რომელსაც აღნიშნული პირი იკავებს, ან განზრახული აქვს დაიკავოს, განუსაზღვრელი ვადით ან ხანგრძლივი პერიოდით (ერთი ან მეტი წლით).

საგადასახდელო ბალანსი (სბ) არ გულისხმობს „გადასახდელებს" ამ სიტყვის ზოგადი გაგებით, არამედ იგი მოიცავს ტრანზაქციებს, რადგან ზოგიერთი საერთაშორისო ტრანზაქცია არ გულისხმობს ფულის გადახდას (მაგალითად ბარტერი), ზოგი კი საერთოდ არ მოითხოვს რაიმე სახით გადახდას (მაგალითად საჩუქარი ან უსასყიდლო დახმარება).

ეკონომიკის სექტორები

საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის კომპონენტები – პორტფელის ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები და სხვა ინვესტიციები – თავის მხრივ, იყოფა ოპერაციის მონაწილე რეზიდენტების ეკონომიკური სექტორების მიხედვით. ამ კუთხით გამოიყოფა ოთხი სექტორი:

- მონეტარული ხელისუფლება – საქართველოს შემთხვევაში, ეროვნული ბანკი;
- დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა - საქართველოს კომერციული ბანკები;
- სამთავრობო სექტორი, რომელიც მოიცავს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს;
- სხვა სექტორები, რომელიც იყოფა ორ ქვესექტორად: სხვა საფინანსო კორპორაციები და არასაფინანსო კორპორაციები, შინამეურნეობები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები (შმაკო).

ტრანზაქციის ტიპები

- გაცვლითი ტრანზაქციები – საგადასახდელო ბალანსში ასახული ტრანზაქციების უმეტესობა შეიძლება დახასიათდეს როგორც გაცვლითი ტრანზაქციები, როდესაც ტრანზაქციის ერთი მხარე მიაწვდის რაიმე ეკონომიკურ ღირებულებას მეორე მხარეს და მისგან სანაცვლოდ იღებს ეკვივალენტურ ღირებულებას;
- ტრანსფერები – ეს არის ტრანზაქციები, როდესაც ერთი მხარე მეორეს მიაწვდის რაიმე ეკონომიკურ ღირებულებას და მისგან სანაცვლოდ არ იღებს არანაირ ღირებულებას. ტრანზაქციის ეს ფორმა ცალმხრივი ტრანზაქციის ტიპს განეკუთვნება, სწორედ ამიტომ, ორმაგი ჩაწერის პრინციპი საგადასახდელო ბალანსში მოითხოვს საპასუხო ჩანაწერის გაკეთებას საპირისპირო ნიშნით.
- პირობითი ტრანზაქციები – ეს არის საგადასახდელო ბალანსში განხორციელებული ჩანაწერები, როდესაც ფაქტიურად ფულადი ნაკადების მოძრაობა არ მომხდარა, მაგალითად უცხოელი ინვესტორების მოგების რეინვესტიცია.

ზემოთ ჩამოთვლილი ტრანზაქციები აისახება საგადასახდელო ბალანსის სხვადასხვა მუხლებში. მუხლების სტრუქტურა შემდეგნაირია:

საქონელი მოიცავს ტრანზაქციებს, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის ექსპორტ/იმპორტთან და გამოხატავს რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის საკუთრების ცვლილებას (ზოგადი ვაჭრობა, პორტებში შეძენილი საქონელი და არამონეტარული ოქრო).

მომსახურება მოიცავს ყველა სახის მომსახურებას, რასაც უწევენ რეზიდენტები არარეზიდენტებს ან პირიქით. რომელიც იყოფა:

- მანუფაქტურული მომსახურება (მომსახურება მატერიალური რესურსების დამუშავებით, როდესაც მატერიალური რესურსი სხვა ქვეყნის საკუთრებაა);
- საქონლის რემონტი და სხვა ტექნიკური მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი;
- ტრანსპორტი, მასში შედის ყველა სახის ტრანსპორტით გაწეული მომსახურება (მათ შორის მილსადენით ტრანსპორტირება) და საფოსტო და საკურიერო მომსახურება. მგზავრების, ტვირთის (ფრახტის)

ტრანსპორტირება და სხვა სახის სატრანსპორტო მომსახურება (ტვირთის მოვლა, შენახვა, სატრანსპორტო საშუალებების დასუფთავება და სხვ.) კლასიფიცირდება თითოეული სატრანსპორტო საშუალების მიხედვით, გარდა მილსადენით ტრანსპორტირებისა.

- ტურიზმი – აღნიშნული მუხლი კრედიტის მხარეს აღრიცხავს საქართველოში ყოფნისას არარეზიდენტი მგზავრების სამოგზაურო დანახარჯებს როგორც ბიზნესის, ასევე პირადი მიზნებისათვის. რეზიდენტი ტურისტების სამოგზაურო დანახარჯები უცხო ქვეყნებში აღირიცხება ტურისტული ხარჯების დებეტის მხარეს.
- ფინანსური მომსახურება მოიცავს საფინანსო შუამავლობასა და დამხმარე მომსახურებას რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, რომელიც იყოფა ცხადი სახით დარიცხულ და სხვა ფინასურ მომსახურებად და არაპირდაპირი გზით შეფასებულ ფინანსურ მომსახურებად (FISIM).
- სხვა მომსახურება ასახავს ისეთი ტიპის მომსახურებას, როგორიცაა მშენებლობა, სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება; სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება; ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობა; პერსონალური, კულტურული და რეკრიაციული მომსახურება; სამთავრობო საქონელი და მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი და სხვა.

პირველადი შემოსავალი იყოფა ორ კატეგორიად - შრომითი და საინვესტიციო შემოსავალი:

- მუშაკთა შრომის ანაზღაურება ხელფასისა თუ სხვა სარგებელის სახით, ფულადი ან ნატურალური ფორმით, გადახდილი დამქირავებლის მიერ დაქირავებულზე, როცა მხარეები სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან. ეს ანაზღაურება ასევე მოიცავს გადასახადებს, რომელთაც იხდის დაქირავებული მასპინძელ ქვეყანაში, რაც აღირიცხება როგორც საპირისპირო ჩანაწერი მიმდინარე ტრანსფერების მუხლში. დაქირავებულის დანახარჯები მასპინძელ ქვეყანაში აღირიცხება როგორც მოკორესპონდენტო ჩანაწერი ტურისტული მომსახურების მუხლში.
- საინვესტიციო შემოსავალი მოიცავს რეზიდენტის საგარეო ფინანსური აქტივების ფლობიდან მისაღებ შემოსავალს ან გადასახდელებს არარეზიდენტის მიმართ არსებულ ვალდებულებებზე. საინვესტიციო შემოსავალი მოიცავს შემოსავალს პირდაპირი ინვესტიციებიდან, პორტფელის ინვესტიციებიდან, სხვა ინვესტიციებიდან და სარეზერვო აქტივებიდან. საინვესტიციო შემოსავალი, თავის მხრივ, იყოფა როგორც: დივიდენდები, რეინვესტირებული შემოსავალი, საპროცენტო შემოსავალი და სადაზღვევო, საპენსიო და სტანდარტიზებული გარანტიის ფონდების პოლისის მფლობელების საინვესტიციო შემოსავალი. სხვა პირველადი შემოსავლები მოიცავს გადასახადებს წარმოებასა და იმპორტზე, სუბსიდიებსა და რენტას.

მეორადი შემოსავალი გვიჩვენებს მიმდინარე ტრანსფერებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. მიმდინარე ტრანსფერი არის დამაბალანსებელი ჩანაწერი რეალური ან ფინანსური აქტივების ერთი ეკონომიკიდან მეორე ეკონომიკაზე ცალმხრივად გადაცემის დროს. მიმდინარე ტრანსფერების ყველაზე გავრცელებული სახეა გრანტები, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება. ეს მუხლი ასევე მოიცავს საწევრო შენატანებს სხვადასხვა საერთაშორისო და სამთავრობო ორგანიზაციებში; ფიზიკური პირების გადასახადებსა და გზავნილებს; სოციალურ დახმარებებს; წმინდა სადაზღვევო პრემიას სიცოცხლის დაზღვევის გარდა; სადაზღვევო მოთხოვნებს სიცოცხლის დაზღვევის გარდა და სხვა მიმდინარე ტრანსფერებს.

კაპიტალის ანგარიში გვიჩვენებს (1) მიღებულ და გადახდილ კაპიტალურ ტრანსფერებს და (2) არამწარმოებლური არაფინანსური აქტივების შეძენასა და გაყიდვას რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის.

კაპიტალური ტრანსფერები მოიცავს უსასყიდლოდ საკუთრების უფლების გადაცემას ქონებაზე, აქტივებზე და ვალის პატიებას. უსასყიდლოდ თანხის გადაცემა განიხილება როგორც კაპიტალური ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს თანხა განკუთვნილია ძირითადი ფონდების შესაძენად ან კაპიტალური მშენებლობისთვის.

მუხლში „არამწარმოებლური არაფინანსური აქტივების შეძენა(დებეტი)/გაყიდვა (კრედიტი)" აღირიცხება იმ აქტივების შეძენა/გაყიდვა, რომლებიც არ არის წარმოების შედეგი (მიწა, ბუნებრივი რესურსები) ან/და არამატერიალური აქტი-

ვები, როგორიცაა პატენტი, საავტორო უფლება, სასაქონლო ნიშნები, ფრანშიზა და ა.შ.

ფინანსურ ანგარიშში აქტივები და ვალდებულებები ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით იყოფა: პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები და სარეზერვო აქტივები.

პირდაპირი ინვესტიცია არის საერთაშორისო ინვესტიციის კატეგორია. აღნიშნული კატეგორია გულისხმობს ამა თუ იმ ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულის (პირდაპირი ინვესტორი) გრძელვადიან ინტერესს სხვა ეკონომიკის რეზიდენტ ერთეულში (პირდაპირი ინვესტორის საწარმო). საწარმოს პირდაპირი ინვესტორი არის ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების ან ხმის უფლების 10 პროცენტს ან მეტს (კორპორაციული საწარმოს შემთხვევაში), ან ეკვივალენტურ ძალაუფლებას (არაკორპორაციული საწარმოს შემთხვევაში). „პირდაპირი ინვესტირების" განსაზღვრებაასევევრცელდებაფულადან/და მატერიალური სახით განხორციელებულ ინვესტიციებზე ურთიერთდაკავშირებულ საწარმოებს შორის, ანუ კაპიტალურ ინვესტიციებზე ფილიალებსა და მათ სათავო ოფისებს შორის. პირდაპირი ინვესტიციები კლასიფიცირდება როგორც პირდაპირი ინვესტორი პირდაპირი ინვესტირების საწარმოში, პირდაპირი ინვესტირების საწარმო პირდაპირ ინვესტორთან (უკუინვესტიცია) და მონათესავე კომპანიებს შორის.

პირდაპირი ინვესტიციები ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით კლასიფიცირდება: სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები, რეინვესტირებული შემოსავლები და სავალო ინსტრუმენტები.

პორტფელის ინვესტიცია შეიძლება იყოს:

- სააქციო კაპიტალის სახით (როდესაც ინვესტორი ფლობს წილის 10 პროცენტზე ნაკლებს).
- სავალო ფასიანი ქაღალდების სახით. რაც, თავის მხრივ, იყოფა გრძელვადიან (ობლიგაციები) და მოკლევადიან ინსტრუმენტებად.

ფინანსური წარმოებულები - ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც მიბმულია კონკრეტულ ფინანსურ აქტივზე, ინდიკატორზე ან რაიმე სახის აქტივზე. მათი მეშვეობით ხდება ფინანსური რისკებით ვაჭრობა საფინანსო ბაზრებზე. ფინანსური წარმოებულები მოიცავს ტრანზაქციებს სვოპებით, ოფციონებით, სადეპოზიტო გარანტიებითა და სხვ. და აღირიცხება წმინდა სახით.

სხვა ინვესტიცია პირველ რიგში იყოფა: ფინანსური აქტივების შესყიდვა, წმინდა და ფინანსური ვალდებულებების აღება, წმინდა. სხვა ინვესტიციებს მიეკუთვნება სხვა სააქციო კაპიტალი; ნაღდი ფული და დეპოზიტები; სესხები; სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები; სავაჭრო კრედიტები და ავანსები; სხვა დებიტორული/კრედიტორული დავალიანება; განაწილებული ნასესხობის სპეციალური უფლებები.

- სხვა სააქციო კაპიტალი მიეკუთვნება სხვა ინვესტიციებს, იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის პირდაპირი ინვესტიციები ან სარეზერვო აქტივები. სხვა სააქციო კაპიტალი არ არის ფასიანი ქაღალდების სახით, ამიტომ არ შედის პორტფელის ინვესტიციებში. რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა არ იღებს ფასიანი ქაღალდების სახეს და ამდენად, კლასიფიცირდება როგორც სხვა სააქციო კაპიტალი.
- ნაღდი ფული შედგება ბანკნოტებისა და მონეტებისაგან, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ნომინალური ღირებულება და გამოშვებულია ან სანქცირებულია ცენტრალური ბანკების ან მთავრობების მიერ.
- დეპოზიტები მოიცავს ყველა მოთხოვნას, რომელიც ეხება ეროვნულ ბანკს, დეპოზიტურ კორპორაციებს, გარდა ეროვნული ბანკისა, და რიგ შემთხვევებში, სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს და დადასტურებულია ანაბარის პირობებით.
- სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები მოიცავს: სადაზღვევო ტექნიკურ რეზერვებს (გარდა სიცოცხლის დაზღვევისა); სიცოცხლის დაზღვევისა და ანუიტეტის გადახდის უფლებას; პენსიის მღების უფლებას, საპენსიო ფონდების მოთხოვნებს სპონსორების მიმართ, არასაპენსიო ფონდებიდან გადახდის უფლების მოთხოვნას; და სტანდარტული გარანტიებით მოთხოვნების დასაფარ რეზერვებს.
- სავაჭრო კრედიტები და ავანსები წარმოადგენს მოთხოვნებსა და ვალდებულებებს, რომელიც წარმოიქმნება მიმწოდებელსა და მყიდველს შორის უშუალო ურთიერთობისას – როდესაც თანხის გადახდის დრო არ ემთხვევა საკუთრების ცვლილების დროს. სავაჭრო კრედიტები და

ავანსები არ გულისხმობს სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებას ან რაიმე დოკუმენტის შექმნას. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ამ მუხლში აღირიცხება პროდუქციით ვაჭრობის დროს წინასწარ გადახდა/მიწოდებები.

- დანარჩენი დებიტორული/კრედიტორული დავალიანება მოიცავს სავაჭრო კრედიტებისა და ავანსებისაგან და სხვა ინსტრუმენტებისაგან განსხვავებულ სხვადასხვა ვალდებულებებს.
- ნასესხობის სპეციალური უფლებები – არის საერთაშორისო სარეზერვო აქტივი, რომელიც შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და განაწილებულია წევრ ქვეყნებს შორის დამატებით ოფიციალური რეზერვების სტატუსით. ნასესხობის სპეციალურ უფლებებს შეიძლება ფლობდნენ მონეტარული ხელისუფლების რეგულირების ორგანოები, ან სამთავრობო სექტორი. ნასესხობის სპეციალური უფლებების ავუარები წარმოადგენს სხვა წევრი ქვეყნებისაგან უცხოური ვალუტის ან სხვა სარეზერვო აქტივების მიღების უპირობო უფლებას.

სარეზერვო აქტივები მონეტარული ხელისუფლების განკარგულებაში არსებული ფინანსური აქტივებია და გამოიყენება ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად, ეროვნული ვალუტის კურსის მხარდასაჭერად და საგადასახდელო ბალანსის რეგულირებისათვის. კერძოდ, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირდაპირ საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად ან დეფიციტზე არაპირდაპირი ზეგავლენის მოსახდენად (სავალუტო ბაზარზე ჩარევის გზით, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დასარეგულირებლად).

საგადასახდელო ბალანსში **ოპერაციების აღრიცხვა** წარმოებს ორმაგი ჩაწერის საბუღალტრო პრინციპის საფუძველზე. თითოეული ტრანზაქცია აღირიცხება ორი (ან მეტი) თანაბარი სიდიდის ჩანაწერით. ერთ–ერთი ჩანაწერი კეთდება კრედიტის მხარეს, ხოლო მეორე – დებეტის მხარეს. მაგალითად, საქონლის ექსპორტი საგადასახდელო ბალანსში აისახება როგორც ჩანაწერი ექსპორტის კრედიტის მუხლში და იმავე სიდიდის ჩანაწერი დებეტის მხარეს აქტივის მუხლში – „ნაღდი ფული და დეპოზიტები“. ამდენად, ყველა კრედიტისა და დებეტის სხვაობა ნულს უნდა უდრიდეს. თუმცა პრაქტიკაში, ხშირად საგადასახდელო ბალანსის ანგარიშები არ ბალანსდება. საგადასახდელო ბალანსის სხვადასხვა მუხლის შეფასება ხდება სხვადასხვა ინფორმაციის წყაროზე დაყრდნობით. შედეგად, ყველა კრედიტისა და დებეტის ჯამი ერთმანეთს არ უდრის და საჭიროა დამაბალანსებელი ჩანაწერის გაკეთება შესაბამის მუხლში (წმინდა შეცდომები და გამოტოვებები).

კრედიტში აისახება მიმდინარე ანგარიშსა და კაპიტალის ანგარიშზე ექსპორტი, მიღებული პირველადი და მეორადი შემოსავლები და არამწარმოებლური არაფინანსური აქტივების გასავალი.

დებეტის ჩანაწერები კეთდება მიმდინარე ანგარიშსა და კაპიტალის ანგარიშზე იმპორტის დროს, პირველადი და მეორადი შემოსავლების გასავლებისა და არამწარმოებლური არაფინანსური აქტივების შეძენის შემთხვევაში.

ფინანსურ ანგარიშზე აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვა წარმოებს ნეტოს საფუძველზე, თითოეული ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ცალკე კრედიტული და დებეტური გატარებების გარეშე. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების ასახვისას გამოიყენება ტერმინი „ფინანსური აქტივების შესყიდა, წმინდა” და „ფინანსური ვალდებულებების აღება, წმინდა”. აქტივების წმინდა შესყიდვა ტოლია აქტივების ზრდას მინუს მათი შემცირება. ვალდებულებების წმინდა აღება უდრის ვალდებულებების ზრდას მინუს შემცირება. ცვლილება პლუს ნიშნით ნიშნავს აქტივებისა და ვალდებულებების ზრდას, ხოლო მინუს ნიშნით - მათ შემცირებას.

ძირითადი პრინციპი, რაც ოპერაციების შეფასებისას მხედველობაში მიიღება, არის საბაზრო ფასი. საბაზრო ფასი განისაზღვრება როგორც თანხა, რომელსაც მყიდველი თავისი ნებით იხდის რაიმეს შესაძენად გამყიდველის სურვილის შესაბამისად, როდესაც ორივე მხარე არის დამოუკიდებელი და აღნიშნული ოპერაცია ხორციელდება მხოლოდ კომერციული შეხედულებებიდან გამომდინარე.

ოპერაციის აღრიცხვის დროდ მიიჩნევა რეალური დრო, ან ხდება იმ მიახლოებული დროის შეფასება, როცა მოხდა საკუთრებაზე უფლების ცვლილება. ეს არის დრო, როდესაც მოხდა ფინანსური ოპერაციის რეგისტრაცია ბანკის ან საწარმოს საბუღალტრო ჩანაწერებში.

საგადასახდელო ბალანსის სტანდარტული და ანალიტიკური წარმოდგენა

სტანდარტული წარმოდგენის საგადასახდელო ბალანსში საქონლის, მომსახურების, შემოსავალისა და ფინანსური ღირებულებების საგარეო ეკონომიკური ოპერაციები ჯგუფდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა და სხვა მაკროეკონომიკური სტატისტიკის სტანდარტული კლასიფიკაციის მსგავსად, რომლის შესაბამისად, საგადასახდელო ბალანსის ოპერაციების ბალანსი ნულის ტოლია.

ანალიტიკური წარმოდგენა წარმოადგენს სტანდარტული საგადასახდელო ბალანსის მონაცემების რეორგანიზაციას, რის შედეგადაც გამოიყოფა საგადასახდელო ბალანსის სალდო, რომელიც საჭიროებს დაფინანსებას რეზერვების ხარჯზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან კრედიტების მოზიდვას, ასევე, სხვა განსაკუთრებულ დაფინანსებას (დაგროვილი დავალიანება, ვალის პატიება და ვალის რესტრუქტურიზცია და ა.შ.).

ინფორმაციის წყარო

საქართველოს საგადასახდელო ბალანსის კომპილაციის ძირითადი საინფორმაციო წყაროებია: ეროვნული ბანკი; საბანკო დაწესებულებები; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (ინფორმაცია საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის შესახებ, საწარმოთა გამოკვლევა, შინამეურნეობების გამოკვლევა, სპეციალური კვლევები); ფინანსთა სამინისტრო; სხვადასხვა სამინისტროები და უწყებები; საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობები საქართველოში; სხვა ქვეყნების საელჩოები. გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიყენება „საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემა” (ITRS), რომელიც გულისხმობს საგადასახდელო ბალანსის ოპერაციების ჭრილში მონაცემების შეგროვებას საბანკო სისტემის მეშვეობით.

ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აღნიშნული წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციასთან ერთად ხდება სხვადასხვა მონაცემების შემდგომი შეფასება და შესწორება.

საქონლის ექსპორტ/იმპორტი

- საგადასახდელო ბალანსში საქონლის ექსპორტი და იმპორტი აღირიცხება FOB ფასებში.
- იმპორტირებული საქონლის ფასები CIF ფასებიდან გადაიყვანება FOB ფასებში. აღნიშნული შესწორებისათვის გამოიყენება კოეფიციენტები, რომლებიც დაიანგარიშება ერთეულოვანი წონის საქონლის ტრანსპორტირების ღირებულების მიხედვით თითოეული ტრანსპორტის სახეობისა და რეგიონისთვის (მეზობელი ქვეყნებისთვის კოეფიციენტი ნულის ტოლია).
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებულ ოფიციალურ ინფორმაციას ემატება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაკეთებული შეფასებები სხვადასხვა საქონლისა თუ მომსახურების ექსპორტ/იმპორტის შესახებ.

შენიშვნა: განსხვავება საგადასახდელო ბალანსის ექსპორტ-იმპორტის მონაცემებსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოყვანილ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებს შორის განპირობებულია ობიექტური, მეთოდოლოგიური მიზეზით: საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ეფუძნება საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთის პრინციპს მაშინ, როდესაც საქონლით ვაჭრობა საგადასახდელო ბალანსში ეფუძნება რეზიდენტიდან არარეზიდენტზე საკუთრების უფლების გადასვლის პრინციპს. არის პოზიციები, რომლებიც შედის საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობაში და არ შედის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში. ესენია: პორტებში შეძენილი საქონელი, არაორგანიზებული ვაჭრობა, აღურიცხავი იმპორტ/ექსპორტის ოპერაციები. საგადასახდელო ბალანსში გადასამუშავებელი საქონლის იმპორტ/ექსპორტი, როცა მატერიალურ რესურსი სხვა ქვეყნის საკუთრებაა, აღირიცხება მომსახურების მუხლში. ხოლო საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში - საქონლის მუხლში.

გარდა ამ განსხვევებებისა, იმპორტის ნაწილში გამოიყენება სხვადასხვა ფასთა სისტემა. კერძოდ, იმპორტი საგადასახდელო ბალანსში აღირიცხება FOB ფასით, მაშინ, როცა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში CIF ფასით.

აღურიცხავი ექსპორტის შესაფასებლად ეროვნული ბანკი იყენებს ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მონაცემებს, როგორიცაა: ევროკავშირი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა. ამ მიზნით დამატებით გამოიყენება გაეროს სტატისტიკური დეპარტამენტის ბაზა (COMTRADE). ანალოგიურად, ჩვენი პარტნიორი ქვეყნები, მათ შორის ევროკავშირი, იყენებს საქართველოს იმპორტის მონაცემებს საკუთარი მონაცემების კორექტირებისათვის. მონაცემთა კორექტირება მიღებული პრაქტიკაა და ამას ყველა ქვეყანა აკეთებს. საბაჟოს მხრიდან ექსპორტის მონაცემების სტატისტიკურ აღიცხვაზე, როგორც წესი, უფრო ნაკლები რესურსი იხარჯება, ვიდრე იმპორტზე, რადგან განსხვავებით იმპორტისაგან, ექსპორტის დროს არ ხდება გადასახადების გადახდა.

მომსახურება

ტრანსპორტი

- ტარნსპორტის ღირებულების შესწორება ხდება საიმპორტო საქონლის ფასების CIF ფასიდან FOB ფასში გადაყვანის შედეგად და დაიყოფა ტრანსპორტის სახეების მიხედვით (სარკინიგზო, საჰაერო, საგზაო და ა.შ.).
- გარდა ამისა, ხდება მონაცემების მოპოვება სხვა წყაროებიდან. ესენია: შპს „საქართველოს რკინიგზა", შპს „საქაერონავიგაცია", საქართველოში არსებული პორტები და აეროპორტები. ამასთან, საზღვრის დაცვის სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით, წარმოებს ირიბი შეფასება სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტ/იმპორტის შესახებ.

ტურიზმი

- ტურიზმის შესახებ მონაცემები დგება შინამეურნეობების რეგულარული კვლევის მასალების მიხედვით. საქმიანი ტურიზმის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიიღება სახელმწიფო სტრუქტურებიდან (სამინისტროები, დეპარტამენტები და სხვ.), აგრეთვე, საბანკო სექტორიდან;
- ირიბი შეფასებისათვის გამოიყენება საზღვრის დაცვის სამსახურის ინფორმაცია ქვეყანაში შემოსული და ქვეყნიდან გასული მოქალაქეების შესახებ. გარდა ამისა, ფასდება საქონლის საექსპორტო/საიმპორტო ოპერაციებით დაკავებულ პირთა დანახარჯები საზღვარგარეთ და ერთ წელზე ნაკლები დროით საზღვარგარეთ მომუშავეთა დანახარჯები.

სხვა მომსახურება

- მონაცემები სხვა მომსახურებაზე, როგორიცაა მანუფაქტურული მომსახურება, მშენებლობა, ფინანსური და ა.შ. მოიპოვება იმ საწარმოებიდან, რომლებიც იყენებენ ამ ტიპის მომსახურებას, შემდეგ ხდება მომსახურების მოცულობის კორექტირება. ინფორმაცია უცხოური საელჩოების, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დანახარჯებზე ფასდება ირიბი მეთოდით. მონაცემები საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების დანახარჯებზე მიიღება საგარეო საქმეთა სამინისტროდან. ინფორმაცია ფინანსური მომსახურების შესახებ მოიპოვება კომერციული ბანკებიდან წარმოდგენილი ანგარიშგებიდან, დაზღვევის მომსახურების შესახებ კი – სადაზღვევო კომპანიებიდან.

პირველადი შემოსავალი

- მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე შეფასებები ძირითადად ემყარება შინამეურნეობების კვლევის მასალებს, გამოიყენება ასევე საბანკო ინფორმაცია სწრაფი ფულადი გზავნილების შესახებ, აგრეთვე ფასდება საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულ რეზიდენტთა შემოსავლები;
- საინვესტიციო შემოსავალი გამოითვლება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით: ფინანსთა სამინისტროს ანგარიში სახელმწიფო ან სახელმწიფო გარანტიით აღებული ვალის პროცენტის გადახდაზე; კომერციული ბანკების ანგარიში საბანკო სექტორში ვალების პროცენტების გადახდაზე.

მეორადი შემოსავალი

- მუშაკთა გზავნილების შესაფასებლად გამოიყენება იგივე მეთოდოლოგია, რაც მუშაკთა შრომის ანაზღაურების შემთხვევაში;
- ფინანსთა სამინისტროს ანგარიშებიდან და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ფონდებიდან, რომელთაც თავიანთი ოფისები აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე, მიიღება ინფორმაცია საგარეო სექტორიდან საქართველოში შემოსული ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარების შესახებ;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მონაცემები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში საწევრო შენატანების შესახებ;
- ქართველი სტუდენტების განათლებაზე გაწეული გრანტების ღირებულება ფასდება განათლების სამინისტროდან და შინამეურნეობების კვლევიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

კაპიტალის ანგარიში

- კაპიტალური ტრანსფერები გამოიანგარიშება ფინანსთა სამინისტროს

ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების დეპარტამენტის ინფორმაციის ბაზაზე დაყრდნობით და სხვა წყაროების გამოყენებით.

ფინანსური ანგარიში

პირდაპირი ინვესტიციები

- მონაცემები პირდაპირი ინვესტიციების შესახებ ფასდება საწარმოთა გამოკვლევიდან, დეპოზიტური კორპორაციების შესახებ – კომერციული ბანკების ანგარიშგებიდან, სადაზღვევო სფეროს შესახებ კი, სადაზღვევო კომპანიების მონაცემებზე დაყრდნობით;
- რაც შეეხება საქართველოს პირდაპირ ინვესტიციებს საზღვარგარეთ, ისინი მცირე მოცულობისაა, ამიტომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია ასეთი საწარმოების შესახებ შეიძლება არასრული იყოს.

პორტფელის ინვესტიციები

- ინფორმაციას სააქციო კაპიტალში განხორციელებული პორტფელის ინვესტიციების შესახებ მიიღება საწარმოთა კვლევიდან, კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების ანგარიშგებიდან. მონაცემები სავალო ფასიანი ქაღალდების შესახებ მიიღება ფინანსთა სამინისტროდან (სახელმწიფო და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მიერ გამოშვებული ევროობლიგაციები), ეროვნული ბანკიდან (არარეზიდენტების მიერ შეძენილი სახაზინო ვალდებულებები და სახელმწიფო ობლიგაციები), ასევე, კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან.

სხვა ინვესტიციები

- სავაჭრო კრედიტების შესახებ მონაცემები ფასდება საწარმოთა კვლევიდან მიღებული ინფორმაციის ბაზაზე;
- მონაცემები სესხებზე იანგარიშება ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს, კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიებისა და საწარმოთა კვლევიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გარკვეული დამატებითი მონაცემები მიიღება ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ანგარიშებიდან.

სარეზერვო აქტივები

- სარეზერვო აქტივების მონაცემთა წყაროა საქართველოს ეროვნული ბანკის საბალანსო ანგარიშები.

1.2 საინვესტიციო პოზიციის მეთოდოლოგიური სტანდარტები

საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია იანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს (მეექვსე რედაქცია) რეკომენდაციებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად.

ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ) აჩვენებს დროის გარკვეულ მომენტში საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს. სსპ აერთიანებს არარეზიდენტებისადმი მოთხოვნებსა და მათ მიმართ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს ეკონომიკის შემდეგი სექტორების მიხედვით: ეროვნული ბანკი, დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა, სამთავრობო სექტორი და სხვა სექტორები. სსპ–ის ძირითადი მუხლები საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლების იდენტურია და მოიცავს: პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა და სარეზერვო აქტივებს.

სხვაობა ეკონომიკის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეადგენს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას. ამგვარად, სსპ შეიძლება იყოს წმინდა კრედიტული ან წმინდა დებეტური.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია მუშავდება ცხრილის სახით, რომელიც შეიცავს შემდეგ დეტალებს:

	პოზიცია პერიოდის დასაწყისში	პოზიციის ცვლილება				პოზიცია პერიოდის ბოლოს
		ოპერაციული ცვლილება	კურსის ცვლილება	ფასის ცვლილება	სხვა ცვლილება	
წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია						
აქტივები						
ვალდებულებები						

ამრიგად, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია პერიოდის ბოლოს იანგარიშება როგორც ნაშთს პერიოდის დასაწყისში დამატებული პერიოდის განმავლობაში მომხდარი ოპერაციული ცვლილება, გაცვლითი კურსის, ფასისა და სხვა ცვლილება.

ოპერაციული ცვლილება ასახავს საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ტრანზაქციებს. სხვა ცვლილებები მოიცავს შესწორებებს, რეკლასიფიკაციას და სსპ–ს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ სხვა ცვლილებებს.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის კომპილაციისათვის გამოიყენება საგადასახდელო ბალანსისათვის იდენტური საინფორმაციო წყაროები.

1.3 საგარეო ვალის მეთოდოლოგიური სტანდარტები

საქართველოს საგარეო ვალის შედგენა წარმოებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელოს („საგარეო ვალის სტატისტიკა: სახელმძღვანელო შემდგენელთა და მომხმარებელთათვის", სსფ 2013 წ.) რეკომენდაციის შესაბამისად.

საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი წარმოადგენს დროის გარკვეული პერიოდისათვის არსებულ ნაშთს ყველა იმ მიმდინარე, და უპირობო, ვალდებულებაზე, რომელიც დებიტორს ავალდებულებს ძირითადი თანხის და/ან საპროცენტო განაკვეთის გადახდას მომავალში, დროის გარკვეულ მომენტში და წარმოადგენს რეზიდენტის უპირობო ვალდებულებას არარეზიდენტის მიმართ.

საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი მოიცავს ვალდებულებებს არარეზიდენტების მიმართ, რომელიც კლასიფიცირებულია ინსტიტუციური სექტორების მიხედვით, ვადიანობისა და სავალო ინსტრუმენტებს ტიპების მიხედვით.

საგარეო ვალი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ნაღდი ფული და დეპოზიტები;
- სავალო ფასიანი ქაღალდები;
- სესხები;
- სავაჭრო კრედიტები და ავანსები;
- სხვა სასესხო ვალდებულები;
- ნასესხობის სპეციალური უფლებები (ნსუ) განაწილებული;
- პირდაპირი ინვესტიციები: კომპანიათაშორისი სესხები.

სავალო ვალდებულებები მოიცავს საქართველოს რეზიდენტების მიერ გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, რომელთაც ფლობენ არარეზიდენტები. სავალო ვალდებულებები კლასიფიცირდება სექტორების (გამომშვების სექტორი) და ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით.

სავალო ვალდებულებებზე ნაშთი დროის გარკვეული მომენტისათვის არის: არარეზიდენტების საკუთრებაში არსებული და საქართველოს რეზიდენტების მიერ გამოშვებული სავალო ვალდებულებების ჯამს მინუს ვადაგადაცილებული ვალდებულებები, პლუს საანგარიშო პერიოდში დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი.

სესხების სტრუქტურაში შედის:

- საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხები – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული სესხები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან;
- სახელმწიფო სესხები – სახელმწიფოს მიერ მიღებული სესხები;
- სესხები სახელმწიფო გარანტიით – კერძო სექტორის მიერ მიღებული საგარეო სესხები, რომელთა გარანტი არის მთავრობა;
- კერძო სესხები – კერძო სექტორის მიერ მიღებული საგარეო სესხები (გარდა პირდაპირი ინვესტორისგან მიღებული სესხებისა);

სესხებზე ნაშთი, დროის გარკვეული მომენტისათვის, შედგება საქართველოს რეზიდენტების მიერ მიღებული საგარეო სესხების ჯამს მინუს საანგარიშო პერიოდში გრაფიკით განსაზღვრული ძირითადი თანხის გადახდები და მინუს ფაქტიურად განხორციელებული წინას-

წარი გადახდები.

სავაჭრო კრედიტები და ავანსები შედგება იმ ვალდებულებებისაგან, რომლებიც წარმოიშვება საქონლისა და მომსახურების უშუალოდ მიწოდების დროს:

- ეკონომიკური აგენტის მიერ მიღებული წინასწარი გადახდა;
- იმპორტირებულ საქონელსა ან მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელთა დაფარვაც არ მოხდა ვადაში.

ნაღდი ფული და დეპოზიტები მოიცავს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებულ არარეზიდენტების დეპოზიტებს.

სხვა ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო კრედიტებისა და ავანსებისაგან და სხვა ინსტრუმენტებისაგან განსხვავებულ სხვადასხვა ვალდებულებებს.

პირდაპირი ინვესტიციების კომპანიათაშორისი სესხები მოიცავს:

- სასესხო ვადებულებებს პირდაპირი ინვესტირების დამოკიდებულებაში მყოფ საწარმოებს შორის;
- ვადაგადაცილებებს ამ სესხებზე, ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

კომპანიათაშორის სესხებზე არსებული დავალიანება შედგება დროის გარკვეული მომენტისათვის არსებული იმ საგარეო სესხების ნარჩენი დავალიანებისაგან, რომელიც საქართველოს საწარმოებმა ან პირდაპირმა ინვესტორებმა მიიღეს, შესაბამისად, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის ან შვილობილი კომპანიებისაგან, მინუს საანგარიშო პერიოდში გრაფიკით განსაზღვრული ძირითადი თანხის გადახდები, მინუს ფაქტიურად განხორციელებული წისასწარი გადახდები.

საგარეო ვალი, საგადასახდელო ბალანსის მსგავსად, კლასიფიცირდება ინსტიტუციური სექტორების მიხედვით: სამთავრობო სექტორი, ეროვნული ბანკი, დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა, და სხვა სექტორები. ამასთან, ცალკე გამოიყოფა კომპანიათაშორისი ვალდებულებები. გარანტიის ქვეშ მყოფი საგარეო ვალდებულებები კი კლასიფიცირდება მსესხებლის სექტორის შესაბამისად. გარანტორის მიხედვით რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ გარანტიის ამოქმედების შემთხვევაში.

ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, საგარეო ვალი კლასიფიცირდება ვადიანობის მიხედვით – მოკლევადიანად და გრძელვადიანად, საწყისი ვადიანობიდან გამომდინარე.

გრძელვადიანია საგარეო ვალი, რომლის დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია.

მოკლევადიან საგარეო ვალს მიეკუთვნება ის ვალი, რომელიც გადასახდელია მოთხოვნისთანავე ან რომლის თავდაპირველი დაფარვის ვადა არ აღემატება ერთ წელს (ერთი წელი და ნაკლებია). საგარეო ვალის კომპილაციისთვის გამოიყენება საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის იდენტური საინფორმაციო წყარო.

2. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, 2015 წელი

2.1 ზოგადი მიმოხილვა

2015 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მნიშვნელოვანწილად საქონლით ვაჭრობა და შემოსავლები, კერძოდ კი, საინვესტიციო შემოსავლები განსაზღვრავდა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, 4.5 პროცენტით შემცირდა. საქონლით ვაჭრობის დეფიციტი 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, 2.0 პროცენტით გაიზარდა და 4.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. სავაჭრო დეფიციტის ზრდა გამოწვეული იყო საქონლის ექსპორტის უფრო მეტად კლებით (24.4 პროცენტი) იმპორტთან შედარებით (10.7 პროცენტი), რაც აბსოლუტურ გამოსახულებაში 87.8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტის ზრდაში დიდი წვლილი შეიტანა ცე ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში უსასყიდლოდ მიღებულმა მედიკამენტებმა. აღნიშნული მედიკამენტების გარეშე იმპორტის კლება 16.1 პროცენტი, ხოლო საქონლით ვაჭრობის დეფიციტის შემცირება 8.4 პროცენტი იყო.

2015 წელს ექსპორტირებულ საქონელში პირველ პოზიციაზეა სპილენძის მადნები, მას მოსდევს ფეროშენადნობები, მსუბუქი ავტომობილები (რაც რეექსპორტს წარმოადგენს), თხილი და სამკურნალო საშუალებები. ექსპორტი ძირითადი ეკონომიკური კატეგორიების ჭრილში შემდეგნაირად გამოიყურება: ყველაზე დიდი წილი, 52.0 პროცენტი, უჭირავს სამომხმარებლო საქონელს, 45.3 პროცენტი – შუალედური მოხმარების საქონელს, ხოლო საინვესტიციო საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი მხოლოდ 2.7 პროცენტია. 2015 წელს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, ექსპორტში გაიზარდა სამომხმარებლო და შუალედური მოხმარების საქონლის წილი და შემცირდა საინვესტიციო საქონლის წილი.

2015 წელს უმსხვილესი საიმპორტო საქონელი იყო სამკურნალო საშუალებები, რაც 2015 წლის მაისიდან ცე ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის დაწყებამ განაპირობა. შემდეგ მოდის ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები და სპილენძის მადნები და კონცენტრატები (რომელიც რეექსპორტისთვის არის განკუთვნილი). ცე ჰეპატიტის მედიკამენტების გამორიცხვით, იმპორტის 13.3 პროცენტი საინვესტიციო საქონელს უჭირავს, 43.8 პროცენტი – შუალედური მოხმარების საქონელს, ხოლო სამომხმარებლო საქონლის წილად 43.0 პროცენტი მოდის. 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, იმპორტში უმნიშვნელოდ გაიზარდა შუალედური მოხმარების საქონლის წილი და ასევე უმნიშვნელოდ შემცირდა სამომხმარებლო საქონლის წილი.

რაც შეეხება მომსახურების ანგარიშის სალდოს, ის 2015 წელს დადებითი იყო და ნაწილობრივ აბალანსებდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. საანგარიშო წელს მომსახურების ექსპორტი 3.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო იმპორტი - 2.0 პროცენტით შემცირდა, ამან მომსახურების სალდოს 11.2 პროცენტით ზრდა გამოიწვია. მომსახურების ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი ტურიზმმა შეიტანა. თუ 2014 წელს ტურისტული მომსახურების ექსპორტი 1.8 მლრდ აშშ დოლარი იყო, 2015 წელს ის 8.3 პროცენტით გაიზარდა და 1.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მომსახურების იმპორტის შემცირება კი, ძირითადად, სამთავრობო და სხვა საქმიანი მომსახურების კლებით იყო გამოწვეული.

ცხრილი 2.1.1 ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები, 2011-2015 წლები

ეკონომიკური მაჩვენებელი	ზომის ერთეული	2011	2012	2013	2014	2015
მშპ მიმდინარე ფასებში	მლრდ ლარი	24.3	26.2	26.8	29.2	31.7
მშპ მიმდინარე ფასებში	მლრდ აშშ დოლარი	14.4	15.8	16.1	16.5	14.0

ეკონომიკური მაჩვენებელი	ზომის ერთეული	2011	2012	2013	2014	2015
მშპ-ს რეალური ზრდა	%	7.2	6.4	3.4	4.6	2.8
საშუალო წლიური გაცვლითი კურსი	დოლარი/ ლარი	1.686	1.6513	1.6634	1.7659	2.2693
საშუალო წლიური გაცვლითი კურსი	ევრო/ლარი	2.3473	2.1232	2.2094	2.3462	2.5197
მიმდინარე ანგარიში/მშპ	%	-12.8	-11.7	-5.8	-10.6	-12.0
საქონლისა და მომსახურების ბალანსი/მშპ	%	-19.0	-19.6	-12.9	-18.0	-20.9
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი/მშპ-თან	%	36.3	38.0	44.5	42.6	44.2
საქონლისა და მომსახურების იმპორტი/მშპ	%	55.3	57.6	57.4	60.7	65.1
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი/ საქონლისა და მომსახურების იმპორტთან	%	65.6	65.9	77.5	70.3	67.9
მიმდინარე ტრანსფერები (წმინდა)/ მშპ	%	9.2	8.9	9.1	8.7	11.2
საერთაშორისო რეზერვები	მლნ აშშ დოლარი	2,818.3	2,873.0	2,823.4	2,699.2	2,520.7
საერთაშორისო რეზერვები/ საქონლისა და მომსახურების იმპორტთან	თვე	4.2	3.8	3.7	3.2	3.3
სახელმწიფო და სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალი პერიოდის ბოლოს[1]	მლნ აშშ დოლარი	4,506.7	4,828.1	4,523.3	4,501.7	4,604.4
სახელმწიფო და სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალის მომსახურება (ფაქტიური გადახდების მიხედვით, ძირითადი და პროცენტი)	მლნ აშშ დოლარი	677.2	409.9	638.8	428.8	231.4
სახელმწიფო საგარეო ვალი /მშპ	%	31.2	30.5	28.0	27.3	33.0
სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურება/ საქონლისა მომსახურების ექსპორტთან	%	12.9	6.8	8.9	6.1	3.7

2015 წელს პირველადი შემოსავლების უარყოფითი სალდო 50.5 პროცენტით გაიზარდა და 312.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად -207.3 მლნ აშშ დოლარისა 2014 წელს. ზრდის მიზეზი შემოსავლის კრედიტის წინმსწრები კლება იყო დებეტთან შედარებით, რაც დიდწილად შრომის ანაზღაურების შემცირებამ გამოიწვია.

მეორადი შემოსავალი მიმდინარე ანგარიშის ყველაზე მსხვილი დადებითი კომპონენტია. 2015 წელს მისი დადებითი სალდო საქონლის დეფიციტის 35.6 პროცენტს ფარავდა. 2015 წელს მეორადი შემოსავლის სალდო, წინა წელთან შედარებით, 8.7 პროცენტით გაიზარდა (ცე ჰეპატიტის გრანტის გარეშე 22.7 პროცენტით შემცირდა), ხოლო კრედიტი 5.8 პროცენტით (ცე ჰეპატიტის გრანტის გარეშე 22.8 პროცენტით შემცირდა) და 1.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (1.2 მლრდ აშშ დოლარი ცე ჰეპატიტის გრანტის გარეშე). ამავდროულად, სამთავრობო სექტორის კრედიტი 3.7-ჯერ იყო გაზდრილი ცე ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში მიღებული გრანტის შედეგად (6.6 პროცენტით ცე ჰეპატიტის გრანტის გარეშე).

2015 წელს კაპიტალის ანგარიშის დადებითმა სალდომ 61.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფინანსური ანგარიშის სალდო უმნიშვნელოდ შემცირდა (22.9 მლნ აშშ დოლარით) და 1.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება ქვეყნის მთლიან საგარეო ვალს, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი კომპონენტია საგარეო სექტორის

1 არ მოიცავს სახელმწიფო კომპანიების ვალს.

სტატისტიკაში, მან 2015 წლის ბოლოსათვის 15.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წელს მთლიანი საგარეო ვალი, წინა წელთან შედარებით, 9.0 პროცენტით გაიზარდა. საანგარიშო წელს, გასული წლის მსგავსად, მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნული ბანკის საგარეო ვალი - 12.9 პროცენტით, ხოლო დანარჩენ ინსტიტუციურ სექტორებში დაფიქსირდა საგარეო ვალის ზრდა, კერძოდ, სამთავრობო სექტორში 3.2 პროცენტით, საბანკო სექტორში 10.2 პროცენტით, სხვა სექტორებში 26.1 პროცენტით, ხოლო კომპანიათაშორისი დავალიანება შემცირდა 2.0 პროცენტით.

საერთაშორისო რეზერვები 2015 წელს ოპერაციულად 99.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 3.3 თვის საქონლისა და მომსახურების იმპორტს უზრუნველყოფს.

შემდეგ ცხრილში გთავაზობთ 2011–2015 წლების საქართველოს საგადასახდელო ბალანსის შემოკლებულ ვერსიას ძირითადი კომპონენტების მითითებით.

ცხრილი 2.1.2 საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, 2011-2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

ეკონომიკური მაჩვენებელი	2011	2012	2013	2014	2015
მიმდინარე ანგარიში	**-1,842**	**-1,853**	**-935**	**-1,751**	**-1,673**
კრედიტი	**7,458**	**8,614**	**9,681**	**9,635**	**8,680**
დებეტი	**9,301**	**10,467**	**10,616**	**11,386**	**10,353**
საქონელი და მომსახურება	**-2,746**	**-3,112**	**-2,084**	**-2,977**	**-2,919**
კრედიტი	5,242	6,021	7,175	7,038	6,176
დებეტი	7,988	9,133	9,259	10,016	9,094
საქონელი	-3,500	-4,226	-3,506	-4,286	-4,373
კრედიტი	3,223	3,459	4,191	3,995	3,021
დებეტი	6,723	7,685	7,697	8,281	7,394
ცე ჰეპატიტის მედიკამენტები	-	-	-	-	449
მომსახურება	754	1,115	1,422	1,308	1,455
კრედიტი	2,019	2,562	2,984	3,043	3,155
დებეტი	1,265	1,447	1,562	1,735	1,700
პირველადი შემოსავალი	**-425**	**-149**	**-316**	**-207**	**-312**
კრედიტი	758	1,077	922	1,027	844
დებეტი	1,183	1,227	1,238	1,235	1,156
მეორადი შემოსავალი	**1,329**	**1,408**	**1,466**	**1,434**	**1,558**
კრედიტი	1,459	1,516	1,585	1,569	1,660
დებეტი	130	108	119	135	102
კაპიტალის ანგარიში	**146**	**132**	**133**	**108**	**62**
კრედიტი	146	132	133	108	62
დებეტი	0	0	0	0	0
წმინდა დაკრედიტება(+) / წმინდა სესხება(-) (მიმდინარე ანგარიშის და კაპიტალის ანგარიშის ბალანსი)	**-1,696**	**-1,721**	**-802**	**-1,643**	**-1,611**
ფინანსური ანგარიში	**-1,681**	**-1,775**	**-844**	**-1,722**	**-1,699**
პირდაპირი ინვესტიციები	**-902**	**-614**	**-829**	**-1,343**	**-1,255**
აქტივები	183	217	127	407	316
პასივები	1,084	831	956	1,750	1,571

ეკონომიკური მაჩვენებელი	2011	2012	2013	2014	2015
პორტფელის ინვესტიციები	**-133**	**-848**	**37**	**-209**	**154**
აქტივები	0	33	-6	38	83
პასივები	133	882	-43	247	-71
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე	-5	-5	2	-8	2
აქტივები	-12	-11	-5	-12	-12
პასივები	-7	-5	-8	-3	-14
სხვა ინვესტიციები	**-1,214**	**-345**	**-9**	**-127**	**-499**
აქტივები	-205	349	174	254	756
პასივები	1,008	694	182	381	1,255
სარეზერვო აქტივები	**572**	**38**	**-45**	**-33**	**-99**
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	**15**	**-53**	**-42**	**-79**	**-88**

2.2 მიმდინარე ანგარიში

2.2.1 საქონელი

2015 წელს საგადასახდელო ბალანსში, საქონლის უარყოფითი სალდო, წინა წელთან შედარებით, 2.0 პროცენტით გაიზარდა და 4.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ბოლო ხუთი წლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების გარეშე 3.9 მლრდ აშშ დოლარი და წლიური კლება 8.4 პროცენტი).

ცხრილი 2.2.1 საქონლის ბალანსი, 2011-2015 წლები

	ზომის ერთეული	2011	2012	2013	2014	2015
ექსპორტი (FOB)	მლნ აშშ დოლარი	3,223.0	3,459.1	4,190.8	3,995.1	3,021.0
იმპორტი (FOB)	მლნ აშშ დოლარი	6,722.6	7,685.2	7,697.0	8,280.7	7,394.5
იმპორტი (ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების გარეშე)	მლნ აშშ დოლარი	6,722.6	7,685.2	7,697.0	8,280.7	6,945.4
სავაჭრო ბალანსი	მლნ აშშ დოლარი	-3,499.6	-4,226.1	-3,506.2	-4,285.6	-4,373.4
სავაჭრო ბალანსი (ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების გარეშე)	მლნ აშშ დოლარი	-3,499.6	-4,226.1	-3,506.2	-4,285.6	-3,924.3
დეფიციტის წლიური ზრდა	%	32.2	20.8	-17.0	22.2	2.0
დეფიციტის ზრდა (ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების გარეშე)	%	33.2	20.8	-17.0	22.2	-8.4
ექსპორტის წლიური ზრდა	%	34.7	7.3	21.2	-4.7	-24.4
იმპორტის წლიური ზრდა	%	33.9	14.3	0.2	7.6	-10.7

2015 წელს საქონლის ექსპორტმა 3.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 24.4 პროცენტით ნაკლებია, ხოლო იმპორტმა - 7.4 მლრდ აშშ დოლარი, რაც 2014 წლის მაჩვენებელზე 10.7 პროცენტით ნაკლებია.

დიაგრამა 1.1. საქონლის ანგარიში, 2011-2015 წლები



ცხრილი 2.2.2 მიმდინარე ანგარიში, საქონელი, 2011-2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015
საქონელი	**-3,499.6**	**-4,226.1**	**-3,506.2**	**-4,285.6**	**-4,373.4**
ექსპორტი	3,223.0	3,459.1	4,190.8	3,995.1	3,021.0
იმპორტი	6,722.6	7,685.2	7,697.0	8,280.7	7,394.5
(ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების გარეშე)	6,722.6	7,685.2	7,697.0	8,280.7	6,945.3
ზოგადი ვაჭრობა	**-3,608.9**	**-4,311.8**	**-3,579.5**	**-4,325.0**	**-4,435.5**
ექსპორტი	3,113.1	3,371.1	4,117.5	3,955.7	2,958.9
იმპორტი	6,722.0	7,682.9	7,697.0	8,280.7	7,394.4
(ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების გარეშე)	6,722.0	7,682.9	7,697.0	8,280.7	6,945.3
მათ შორის რეექსპორტი (კრედიტი)	688.1	914.2	1,090.6	882.6	413.0
არამონეტარული ოქრო	**109.3**	**85.7**	**73.3**	**39.3**	**62.1**
ექსპორტი	109.9	88.0	73.3	39.3	62.1
იმპორტი	0.6	2.3	0.0	0.0	0.0

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დეკლარირებული ექსპორტის ყველაზე მაღალი ზრდა, წინა წელთან შედარებით, 2011 წელს აღინიშნა და 30.4 პროცენტი ანუ 509.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო 2015 წელს ექსპორტი, წინა წელთან შედარებით, 656.6 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (22.9 პროცენტი). რაც შეეხება იმპორტს, ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი ზრდა, 35.1 პროცენტი, 2013 წელს აღინიშნა, ხოლო 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, იმპორტი 10.1 პროცენტით ანუ 871.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. ხოლო ცე ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების იმპორტის გარეშე იმპორტი წლიურად 1.3 მლრდ აშშ დოლარით შემცირდა.

ცხრილი 2.2.3 საგარეო ვაჭრობა, საქონელი, 2011-2015 წლები

	ზომის ერთეული	2011	2012	2013	2014	2015
ექსპორტი (FOB)	მლნ აშშ დოლარი	2,186.4	2,376.6	2,910.6	2,861.0	2,204.5
იმპორტი (CIF)	მლნ აშშ დოლარი	7,072.3	8,056.4	8,022.7	8,601.8	7,730.1
იმპორტი (ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების გარეშე)	მლნ აშშ დოლარი	7,072.3	8,056.4	8,022.7	8,601.8	7,281.0
სავაჭრო ბალანსი	მლნ აშშ დოლარი	-4,885.8	-5,679.7	-5,112.1	-5,740.8	-5,525.6
სავაჭრო ბალანსი (ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების გარეშე)	მლნ აშშ დოლარი	-4,885.8	-5,679.7	-5,112.1	-5,740.8	-5,076.5
სავაჭრო ბრუნვა	მლნ აშშ დოლარი	9,258.7	10,433.0	10,933.4	11,462.9	9,934.6
სავაჭრო ბრუნვა (ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების გარეშე)	მლნ აშშ დოლარი	9,258.7	10,433.0	10,933.4	11,462.9	9,485.5
ექსპორტის ცვლილება წინა წელთან	%	30.4	8.7	22.5	-1.7	-22.9
იმპორტის ცვლილება წინა წელთან	%	35.1	13.9	-0.4	7.2	-10.1
იმპორტი წინა წელთან (ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების გარეშე)	%	35.1	13.9	-0.4	7.2	-15.4
ექსპორტით იმპორტის გადაფარვა	%	30.9	29.5	36.3	33.3	28.5
ექსპორტით იმპორტის გადაფარვა (ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების გარეშე)	%	30.9	29.5	36.3	33.3	30.3

მონაცემთა წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), არ შეიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს. იხილეთ გვერდი 10 საქონლის ექსპორტ/იმპორტი.

ექსპორტ–იმპორტის განაწილება ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით მოცემულია 2.2.4 და 2.2.5 ცხრილში. 2015 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ყველაზე მაღალი, 49.4 პროცენტიანი წილით ექსპორტში გამოირჩევა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნები, რაც განაპირობა უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებში აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთსა და თურქეთში განხორციელებულმა ექსპორტმა. იმპორტში 51.6 პროცენტული წილით, ეკონომიკური თანამშრომლობისა დაგანვითარებისორგანიზაციისქვეყანათა ჯგუფი ლიდერობს. ხოლო მეორე ადგილზე ქვეყანათა ჯგუფებს შორის შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებია - 46.3 პროცენტული წილით.

ცხრილი 2.2.4 საქონლის ექსპორტი (FOB) ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 2011-2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანათა ჯგუფი	2011	2012	2013	2014	2015	წლიური ზრდა (%)	2015 წლის სტრუქტურა (%)
ევროკავშირის ქვეყნები (EU)	421.3	350.1	603.0	617.4	638.0	3.3	28.9
დსთ-ს ქვეყნები (CIS)	1,051.1	1,244.0	1,620.5	1,464.7	840.2	-42.6	38.1
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნები (BSEC)	1,181.8	1,325.8	1,777.6	1,676.2	1,088.5	-35.1	49.4

ქვეყანათა ჯგუფი	2011	2012	2013	2014	2015	წლიური ზრდა (%)	2015 წლის სტრუქტურა (%)
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები (OECD)	808.7	755.6	832.2	931.0	759.0	-18.5	34.4

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ მოიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს. იხილეთ გვერდი 18 საქონლის ექსპორტ/იმპორტი.

ცხრილი 2.2.5 საქონლის იმპორტი (CIF) ქვეყნების ჯგუფების მიხედვით, 2011-2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანათა ჯგუფი	2011	2012	2013	2014	2015	წლიური ზრდა (%)	2015 წლის სტრუქტურა (%)
ევროკავშირის ქვეყნები (EU)	2,049.0	2,427.2	2,225.8	2,356.4	2,505.8	6.3	32.4
დსთ-ს ქვეყნები (CIS)	1,949.5	2,059.4	2,177.5	2,127.5	1,968.4	-7.5	25.5
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნები (BSEC)	3,564.3	3,897.7	4,022.9	4,353.9	3,576.3	-17.9	46.3
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები (OECD)	3,388.1	4,007.6	3,823.4	4,304.0	3,991.6	-7.3	51.6

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ მოიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს. იხილეთ გვერდი 10 საქონლის ექსპორტ/იმპორტი.

2015 წელს დეკლარირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი, წინა წელთან შედარებით, 3.7 პროცენტით შემცირდა და 5.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საგარეო სავაჭრო ბრუნვამ - 9.9 მლრდ აშშ დოლარი, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13.3 პროცენტით ნაკლებია. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს, წინა წლების მსგავსად, საგარეო სავაჭრო ბრუნვის ნახევარზე მეტი (53 პროცენტი) შვიდ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორზე (თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, უკრაინა, გერმანია და ირლანდია - ცე ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტის გამო) მოდის, რომელთანაც საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წლის უმსხვილეს საგარეო სავაჭრო პარტნიორებს შორის პირველ ადგილზე კვლავ თურქეთია, რომელთან სავაჭრო ბრუნვამ 1.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ბრუნვის 15.2 პროცენტია.

ცხრილი 2.2.6 სავაჭრო ბრუნვა 2015 წლის ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით (ექსპორტი FOB, იმპორტი CIF) (მლნ აშშ დოლარი)[2]

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2015 წლის სტრუქტურა (%)
საგარეო სავაჭრო ბრუნვა, სულ	**6,934.6**	**9,225.2**	**10,413.1**	**10,921.1**	**11,454.0**	**100.0**
მათ შორის:						
თურქეთი	1,502.8	1,606.6	1,592.0	1,965.2	1,510.7	15.2
რუსეთი	423.9	523.2	774.3	849.8	787.5	7.9

2 მონაცემთა წყაროა სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), იხილეთ გვერდი 10 საქონლის ექსპორტ/იმპორტი.

3 ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების იმპორტის გამო.

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2015 წლის სტრუქ-ტურა (%)
აზერბაიჯანი	1,061.9	1,330.6	1,365.7	1,182.5	779.8	7.8
ჩინეთი	556.1	639.7	646.2	823.8	712.4	7.2
უკრაინა	833.0	754.6	794.3	688.6	515.4	5.2
გერმანია	528.8	577.9	520.4	531.9	502.6	5.1
ირლანდია[3]	10.6	10.8	11.4	9.9	458.4	4.6
ბულგარეთი	349.2	340.7	345.0	376.9	381.8	3.8
აშშ	388.4	438.5	386.6	490.1	355.7	3.6
სომხეთი	281.0	328.8	497.6	498.2	355.2	3.6
დანარჩენი ქვეყნები	3,322.8	3,881.7	3,999.9	4,046.0	3,575.2	36.0

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ მოიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს. იხილეთ გვერდი 10 საქონლის ექსპორტ/იმპორტი.

ცხრილი 2.2.7 სავაჭრო ბალანსი 2015 წლის ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით (ექსპორტი FOB, იმპორტი CIF) (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2015 წლის სტრუქ-ტურა (%)
ბალანსი, სულ	**-4,885.8**	**-5,679.7**	**-5,112.1**	**-5,740.8**	**-5,525.6**	**100.0**
მათ შორის:						
თურქეთი	-1,050.1	-1,326.3	-1,224.0	-1,486.6	-1,137.2	20.6
რუსეთი	-352.0	-430.5	-393.6	-301.4	-462.8	8.4
ჩინეთი	-498.2	-588.3	-578.3	-643.0	-460.8	8.3
ირლანდია	-10.2	-10.6	-10.8	-9.6	-454.0	8.2
უკრაინა	-550.6	-420.6	-408.6	-408.6	-395.7	7.2
გერმანია	-433.4	-502.7	-378.0	-400.0	-357.7	6.5
აზერბაიჯანი	-210.6	-77.0	54.0	-93.6	-298.2	5.4
იაპონია	-171.1	-306.4	-316.4	-364.9	-208.0	3.8
არაბთა გაერთიანებული ემირატები	-186.5	-145.1	-142.2	-171.1	-182.1	3.3
რუმინეთი	-166.4	-255.7	-318.2	-307.8	-179.9	3.3
დანარჩენი ქვეყნები	-1,256.7	-1,616.6	-1,396.2	-1,554.3	-1,389.3	25.1

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ მოიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს. იხილეთ გვერდი 10 საქონლის ექსპორტ/იმპორტი.

ცხრილი 2.2.8 ექსპორტი (FOB) 2015 წლის ძირითადი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2015 წლის სტრუქ-ტურა (%)
ექსპორტი, სულ	**2,186.4**	**2,376.6**	**2,910.6**	**2,861.0**	**2,204.5**	**100.0**
მათ შორის:						

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2015 წლის სტრუქტურა (%)
აზერბაიჯანი	425.6	626.8	709.9	544.4	240.8	10.9
ბულგარეთი	93.7	69.7	150.8	167.1	214.2	9.7
თურქეთი	226.4	140.1	184.0	239.3	186.8	8.5
სომხეთი	222.7	258.4	315.3	288.0	180.2	8.2
რუსეთი	36.0	46.4	190.4	274.2	162.3	7.4
ჩინეთი	29.0	25.7	34.0	90.4	125.8	5.7
აშშ	143.5	226.2	137.6	207.4	104.2	4.7
უზბეკეთი	12.8	16.2	22.7	54.8	98.0	4.4
იტალია	75.6	53.3	81.1	86.1	74.6	3.4
გერმანია	47.7	37.6	71.2	66.0	72.5	3.3
დანარჩენი ქვეყნები	873.6	876.4	1,013.8	843.3	745.2	33.8

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ მოიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს. იხილეთ გვერდი 10 საქონლის ექსპორტ/იმპორტი.

ცხრილი 2.2.9 იმპორტი (CIF) 2015 წლის ძირითადი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2015 წლის სტრუქტურა (%)
იმპორტი, სულ	**7,072.3**	**8,056.4**	**8,022.7**	**8,601.8**	**7,730.1**	**100.0**
მათ შორის:						
თურქეთი	1,276.4	1,466.4	1,408.0	1,725.9	1,323.9	17.1
რუსეთი	387.9	476.8	583.9	575.6	625.1	8.1
ჩინეთი	527.2	614.0	612.2	733.4	586.6	7.6
აზერბაიჯანი	636.3	703.8	655.9	638.1	539.0	7.0
ირლანდია[4]	10.4	10.7	11.1	9.7	456.2	5.9
უკრაინა	691.8	587.6	601.4	548.6	455.6	5.9
გერმანია	481.1	540.3	449.2	465.9	430.1	5.6
აშშ	244.9	212.4	249.0	282.8	251.5	3.3
იაპონია	174.1	312.1	319.9	368.2	211.3	2.7
არაბთა გაერთიანებული ემირატები	226.5	183.9	211.8	199.1	210.2	2.7
დანარჩენი ქვეყნები	2,415.6	2,948.4	2,920.2	3,054.6	2,640.6	34.2

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ მოიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს.

საინტერესო სურათს იძლევა საქართველოს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ჭრილში განხილვა. 2011-2015 წლებში საქართველოდან ექსპორტირებულ უმსხვილეს პროდუქციათა ათეული თითქმის არ შეცვლილა, მათ შორისაა: სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ფეროშენადნობები, მსუბუქი ავტომობილები, თხილი, სამკურნალო საშუალებები, აზოტოვანი სასუქები, ყურძნის ღვინო, ნედლი ნავთობი, მინერალური წყლები და სპირტიანი სასმელები.

ცხრილში 2.2.10 და დიაგრამაში 1.2 მოცემულია ძირითადი საექსპორტო საქონლის ათეული 2015 წლის მონაცემების მიხედვით.

4 ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების იმპორტის გამო

პირველ პოზიციაზეა სპილენძის მადანი და კონცენტრატების ექსპორტი 12.3 პროცენტული წილით, რაც წინა წელთან შედარებით 22.6 მლნ აშშ დოლარით არის გაზრდილი. სპილენძის მადნების ექსპორტის ასეთი მაღალი მაჩვენებელი რეექსპორტის ხარჯზეა. მეორე პოზიციაზე, ისე როგორც წინა წლებში, არის ფეროშენადნობების ექსპორტი 8.8 პროცენტიანი წილით, მისი ექსპორტი წინა წელთან შედარებით 91.0 მლნ აშშ დოლარით და 1.2 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული. ექსპორტში მესამე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 8.1 პროცენტიანი წილით, რაც წინა წელთან შედარებით 9.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა. შემდეგ პოზიციაზე 8.0 პროცენტიანი წილით და 176.6 მლნ აშშ დოლარით არის თხილის ექსპორტი. მეხუთე პოზიციაზეა სამკურნალო საშუალებები 6.4 პროცენტიანი წილით და 141.5 მლნ აშშ დოლარის ექსპორტით. საექსპორტო ათეულში გვხვდება აგრეთვე, აზოტოვანი სასუქები - 5.0 პროცენტი, ყურძნის ნატურალური ღვინოები - 4.3 პროცენტი, ნედლი ნავთობი - 3.8 პროცენტი, მინერალური წყლები - 3.7 პროცენტი, სპირტიანი სასმელები - 2.9 პროცენტი.

ცხრილი 2.2.10 ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები 2015 წელს (მლნ აშშ დოლარი)

საქ. კოდი	ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2015 წლის სტრუქტურა (%)
	ექსპორტი, სულ	**2,186.4**	**2,376.6**	**2,910.6**	**2,861.0**	**2,204.5**	**100.0**
	მათ შორის:						
2603	მადნები და კონცენტრატები სპილენძის	85.1	53.5	161.6	248.0	270.6	12.3
7202	ფეროშენადნობები	253.6	260.6	230.7	285.8	194.8	8.8
8703	მსუბუქი ავტომობილები	450.3	587.3	703.8	517.8	179.6	8.1
0802	კაკალი, ახალი ან გამხმარი	130.2	83.7	166.7	183.4	176.6	8.0
3004	სამკურნალო საშუალებები	42.2	52.0	52.1	92.1	141.5	6.4
3102	სასუქები აზოტოვანი	144.1	137.2	130.6	137.6	109.8	5.0
2204	ყურძნის ნატურალური ღვინოები	54.1	64.8	128.3	180.4	95.8	4.3
2709	ნედლი ნავთობი	36.5	26.8	40.7	36.2	84.7	3.8
2201	მინერალური წყლები	47.6	59.4	106.9	137.1	82.2	3.7
2208	ეთილის სპირტი, სპირტიანი სასმელები	67.9	80.0	99.8	95.3	64.9	2.9
	დანარჩენი პროდუქცია, სულ	874.9	971.4	1,089.2	947.3	803.9	36.5

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ მოიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს. იხილეთ გვერდი 10 საქონლის ექსპორტ/იმპორტი.

015 წლის უმსხვილეს საიმპორტო ათეულში, პირველ ადგილზე 9.6 პროცენტიანი წილით და 742.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების იმპორტით, სამკურნალო საშუალებებია, რაც ამ წლის მაისიდან ცე ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის დაწყებითაა განპირობებული. შემდეგ ადგილზე მნიშვნელოვანი უპირატესობით, ნავთობი და ნავთობპროდუქტები 8.5 პროცენტიანი წილით. მესამე ადგილზე 6.1 პროცენტიანი წილით მსუბუქი ავტომობილებია, რომლის უდიდესი ნაწილი რეექსპორტისთვისაა განკუთვნილი. შემდეგ პოზიციებზეა: ნავთობის აირები (5.4 პროცენტი), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (2.7 პროცენტი) (აგრეთვე რეექსპორტისთვის განკუთვნილი); აპარატები ელექტრონული სატელეფონო ან სატელეგრაფო სადენიანი კავშირისთვის (1.9 პროცენტი), ხორბალი და მესლინი, რომლის ნაწილიც ასევე რეექსპორტისთვისაა განკუთვნილი (1.5 პროცენტი), სიგარები და სიგარეტები (1.3 პროცენტი), შავი ლითონის მილები და მილაკები (0.9 პროცენტი), შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციები (0.8 პროცენტი).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია 2015 წლის მიხედვით ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები.

დიაგრამა 1.2 ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები 2015 წელს (%)



ცხრილი 2.2.11 ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები 2015 წელს (მლნ აშშ დოლარი)

საქ. კოდი	ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2015 წლის სტრუქტურა (%)
	იმპორტი, სულ	**7,072.3**	**8,056.4**	**8,022.7**	**8,601.8**	**7,730.1**	**100.0**
	მათ შორის:						
3004	სამკურნალო საშუალებები	201.4	232.8	281.3	314.6	742.2	9.6
	მ.შ. ცე ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებები	-	-	-	-	449,1	5.8
2710	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	910.5	951.4	954.3	918.4	658.7	8.5
8703	მსუბუქი ავტომობილები	510.7	662.6	710.5	715.1	468.1	6.1
2711	ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	236.6	318.0	316.8	368.5	416.1	5.4
2603	სპილენძის მადნები და კონცენტრატები	0.1	0.0	113.1	165.3	207.9	2.7
8517	აპარატები ელექტრონული სატელეფონო ან სატელეგრაფო სადენიანი კავშირისთვის	133.6	119.3	153.1	195.7	149.0	1.9
1001	ხორბალი და მესლინი	184.2	240.0	184.8	151.8	119.4	1.5
2402	სიგარები და სიგარეტები	86.7	90.6	95.7	115.5	103.6	1.3
7305	მილები და მილაკები შავი ლითონებისგან	13.2	18.2	9.5	6.8	72.9	0.9
7308	მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან	102.1	93.0	65.6	90.9	63.6	0.8
	დანარჩენი პროდუქცია, სულ	4,693.0	5,330.4	5,138.0	5,559.3	4,728.7	61.2

მონაცემთა წყარო: საქსტატი, არ მოიცავს არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემებს. იხილეთ გვერდი 10 საქონლის ექსპორტ/იმპორტი.

დიაგრამა 1.3 ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები 2015 წელს (%)



2.2.2 მომსახურება

მომსახურების საგარეო სავაჭრო ბალანსი 2011–2015 წლებში დადებითი იყო. 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, მომსახურების ექსპორტი გაიზარდა 3.7 პროცენტით, ხოლო იმპორტი 2.0 პროცენტით შემცირდა, რის შედეგადაც მომსახურების ბალანსი 2015 წელს 2014 წელთან შედარებით, 11.2 პროცენტით გაიზარდა და 1.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 10.4 პროცენტია.

დიაგრამა 2.1 მომსახურების დინამიკა, 2011–2015 წლები



მომსახურებით საგარეო ვაჭრობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქონლით ვაჭრობასთან და სულ უფრო იზრდება მათი ურთიერთქმედება.

დიაგრამა 2.2 პროდუქციით ვაჭრობის დინამიკა, 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)



2015 წელს მომსახურების ექსპორტმა 3.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქონლის ექსპორტზე 4.4 პროცენტით მეტია, ხოლო მომსახურების იმპორტმა - 1.7 მლრდ აშშ დოლარი, რაც ამავე წლის საქონლის იმპორტის 23.0 პროცენტია.

2015 წელს მომსახურებით ვაჭრობის ბრუნვის 91.6 პროცენტი მოდის ტურიზმსა და ტრანსპორტზე, 61.4 და 30.2 პროცენტი, შესაბამისად.

მნიშვნელოვანი დადებითი სალდოთი გამოირჩევა ტურიზმი, რომლის ბალანსი 2015 წელს 1.6 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს და 2014 წელთან შედარებით 8.0 პროცენტით მეტია, ხოლო 2011 წელთან შედარებით 2.2–ჯერ არის გაზრდილი.

2015 წელს დადებითი ბალანსი ჰქონდა ასევე მანუფაქტურულ მომსახურებას (18.4 მლნ აშშ დოლარი), სამთავრობო საქონელსა და მომსახურებას სხვაგან დაუსახელებელს (16.8 მლნ აშშ დოლარი) სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერულ და საინფორმაციო მომსახურებას (5.1 მლნ აშშ დოლარი) და პერსონალურ, კულტურულ და რეკრიაციულ მომსახურებას (2.7 მლნ აშშ დოლარი), ხოლო უარყოფითი სალდოთი გამოირჩეოდა – სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება (125.9 მლნ აშშ დოლარი), სხვა საქმიანი მომსახურება (51.5 მლნ აშშ დოლარი), ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობის ხარჯები (6.4 მლნ აშშ დოლარი), ტრანსპორტი (4.8 მლნ აშშ დოლარი) და საქონლის რემონტი და სხვა ტექნიკური მომსახურება (4.6 მლნ აშშ დოლარი).

ცხრილი 2.2.21 მომსახურების ბალანსი 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015
მომსახურების ბალანსი, სულ	**753.7**	**1,114.6**	**1,422.0**	**1,308.5**	**1,454.8**
მათ შორის:					
მანუფაქტურული მომსახურება	7.8	14.5	15.2	22.4	18.4
საქონლის რემონტი და სხვა ტექნიკური მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი	-1.6	-0.8	1.3	-2.4	-4.6
ტრანსპორტი	107.0	48.2	75.2	34.5	-4.8

	2011	2012	2013	2014	2015
ტურიზმი	741.5	1,154.5	1,425.6	1,488.0	1,606.3
მშენებლობა	2.2	1.5	0.4	-2.0	-1.0
სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება	-116.3	-118.5	-104.5	-127.9	-125.9
ფინანსური მომსახურება	-2.3	-1.3	-3.4	-6.2	-0.4
ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობის ხარჯები	-3.4	-4.1	-10.1	-17.7	-6.4
სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება	11.5	17.5	16.5	10.4	5.1
სხვა საქმიანი მომსახურება	-31.4	-18.3	-19.3	-75.0	-51.5
პერსონალური, კულტურული და რეკრიაციული მომსახურება	6.0	3.3	7.5	4.5	2.7
სამთავრობო საქონელი და მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი	32.6	18.0	17.3	-20.2	16.8

ცხრილი 2.2.22 მომსახურების ექსპორტი 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015	წლიური ზრდა (%)	2015 წლის სტრუქ-ტურა (%)
მომსახურების ექსპორტი, სულ	2,018.9	2,562.0	2,983.8	3,043.3	3,154.6	3.7	100.0
მათ შორის:							
მანუფაქტურული მომსახურება	8.4	14.8	15.4	23.0	18.8	-18.2	0.6
საქონლის რემონტი და სხვა ტექნიკური მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი	2.4	3.5	4.4	1.8	2.6	43.0	0.1
ტრანსპორტი	799.5	852.9	964.3	971.2	952.1	-2.0	30.2
ტურიზმი	954.9	1,410.9	1,719.7	1,787.1	1,935.9	8.3	61.4
მშენებლობა	8.6	7.6	9.1	5.5	9.2	68.7	0.3
სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება	21.1	18.3	18.5	20.2	18.2	-10.1	0.6
ფინანსური მომსახურება	17.4	19.8	8.6	7.0	11.0	58.4	0.3
ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობის ხარჯები	4.6	3.5	3.3	1.7	0.6	-66.3	0.0
სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება	39.1	49.7	54.5	56.4	45.0	-20.2	1.4
სხვა საქმიანი მომსახურება	53.7	68.4	67.6	62.7	58.5	-6.7	1.9
პერსონალური, კულტურული და რეკრიაციული მომსახურება	17.2	15.9	19.7	17.1	14.0	-18.1	0.4
სამთავრობო საქონელი და მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი	92.2	96.8	98.8	89.7	88.7	-1.1	2.8

ცხრილი 2.2.23 მომსახურების იმპორტი 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015	წლიური ზრდა (%)	2015 წლის სტრუქტურა (%)
მომსახურების იმპორტი, სულ	1,265.2	1,447.4	1,561.8	1,734.8	1,699.8	-2.0	100.0
მათ შორის:							
მანუფაქტურული მომსახურება	0.5	0.3	0.2	0.5	0.4	-22.6	0.0
საქონლის რემონტი და სხვა ტექნიკური მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი	4.0	4.3	3.1	4.2	7.2	71.6	0.4
ტრანსპორტი	692.5	804.7	889.0	936.7	956.9	2.2	56.3
ტურიზმი	213.4	256.4	294.1	299.2	329.6	10.2	19.4
მშენებლობა	6.4	6.1	8.6	7.5	10.2	36.8	0.6
სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება	137.3	136.8	122.9	148.1	144.1	-2.7	8.5
ფინანსური მომსახურება	19.7	21.1	12.0	13.2	11.4	-13.3	0.7
ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობის ხარჯები	8.0	7.6	13.4	19.3	7.0	-63.9	0.4
სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება	27.7	32.1	38.0	46.0	39.9	-13.3	2.3
სხვა საქმიანი მომსახურება	85.1	86.7	86.8	137.7	109.9	-20.2	6.5
პერსონალური, კულტურული და რეკრიაციული მომსახურება	11.2	12.6	12.1	12.5	11.3	-9.5	0.7
სამთავრობო საქონელი და მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი	59.6	78.8	81.5	109.9	71.8	-34.7	4.2

ტურიზმი საქართველოში მომსახურების უმსხვილესი დარგია და სწორედ ის განაპირობებდა 2011–2015 წლებში მომსახურების ბალანსის სიდიდეს, რომელიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება და ყველაზე მაღალ ნიშნულს 2015 წელს მიაღწია. ტურიზმის ექსპორტი 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, 8.3 პროცენტით გაიზარდა (ხოლო 2011 წელთან შედარებით 2.0-ჯერ) და მისი წილი მომსახურების ექსპორტის ნახევარზე მეტია (61.4 პროცენტი), ხოლო იმპორტი 10.2 პროცენტით გაიზარდა და წილი მომსახურების იმპორტში 19.4 პროცენტით განისაზღვრა. 2015 წელს ტურიზმის ბალანსში პირადი ტურიზმის წილი ჭარბობს საქმიანი ტურიზმის წილს და 65.4 პროცენტს შეადგენს.

ცხრილი 2.2.24 ტურიზმი 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015	წლიური ზრდა (%)	2015 წლის სტრუქტურა (%)
ექსპორტი	**954.9**	**1,410.9**	**1,719.7**	**1,787.1**	**1,935.9**	**8.3**	**100.0**
საქმიანი	387.9	551.0	625.3	643.1	754.1	17.3	39.0
პირადი	567.0	859.9	1,094.4	1,144.1	1,181.8	3.3	61.0
იმპორტი	**213.4**	**256.4**	**294.1**	**299.2**	**329.6**	**10.2**	**100.0**

	2011	2012	2013	2014	2015	წლიური ზრდა (%)	2015 წლის სტრუქტურა (%)
საქმიანი	141.8	178.9	200.3	209.8	198.7	-5.3	60.3
პირადი	71.6	77.5	93.7	89.3	130.9	46.5	39.7
ბალანსი	**741.5**	**1,154.5**	**1,425.6**	**1,488.0**	**1,606.3**	**8.0**	**100.0**
საქმიანი	246.1	372.1	425.0	433.2	555.4	28.2	34.6
პირადი	495.4	782.4	1000.6	1054.8	1050.9	-0.4	65.4

ტრანსპორტი, ასევე, მომსახურების მნიშვნელოვანი დარგია, რომელსაც 2015 წელს მომსახურების ექსპორტის 30.2 პროცენტი და იმპორტის ნახევარზე მეტი (56.3 პროცენტი) ეკავა. ტრანსპორტის ექსპორტი 2015 წელს 952.1 მლნ აშშ დოლარს (2014 წელთან შედარებით 2.0 პროცენტით შემცირდა), ხოლო იმპორტი – 956.9 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა (გაიზარდა 2.2 პროცენტით) .

ცხრილი 2.2.25 ტრანსპორტი სატრანსპორტო საშუალებების სახეების მიხედვით 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015	წლიური ზრდა (%)	2015 წლის სტრუქტურა (%)
ექსპორტი	**799.5**	**852.9**	**964.3**	**971.2**	**952.1**	**-2.0**	**100.0**
საზღვაო ტრანსპორტი	140.2	131.7	160.8	154.4	169.0	9.5	17.8
საჰაერო ტრანსპორტი	148.1	166.0	209.8	199.7	191.0	-4.3	20.1
სარკინიგზო ტრანსპორტი	156.2	163.4	158.6	149.9	129.6	-13.6	13.6
საგზაო ტრანსპორტი	74.6	109.5	138.2	133.7	131.9	-1.3	13.8
მილსადენები და ელექტროსადენები	277.6	278.9	293.3	329.4	326.8	-0.8	34.3
საფოსტო და კურიერული მომსახურება	2.7	3.2	3.5	4.1	3.8	-7.0	0.4
იმპორტი	**692.5**	**804.7**	**889.0**	**936.7**	**956.9**	**2.2**	**100.0**
საზღვაო ტრანსპორტი	233.7	239.5	295.2	308.7	305.1	-1.2	31.9
საჰაერო ტრანსპორტი	155.6	183.0	200.4	208.3	212.6	2.0	22.2
სარკინიგზო ტრანსპორტი	63.6	47.3	44.1	57.7	61.4	6.3	6.4
საგზაო ტრანსპორტი	238.7	333.9	348.5	360.9	376.7	4.4	39.4
მილსადენები და ელექტროსადენები	-	-	-	-	-	-	-
საფოსტო და კურიერული მომსახურება	0.9	0.9	0.9	1.0	1.1	12.9	0.1

2011–2015 წლებში საქართველოს სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტში ყველაზე მაღალი მილსადენების წილი იყო, რომელიც 2015 წელს (34.3 პროცენტი), წინა წელთან შედარებით, 2.6 მლნ აშშ დოლარით (0.8 პროცენტით) შემცირდა. საჰაერო ტრანსპორტით მიღებული შემოსავალი 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, 4.3 პროცენტით შემცირდა და სატრანსპორტო შემოსავლების 20.1 პროცენტი უზრუნველყო. 2015 წელს ტრანსპორტის ექსპორტში მოცულობით მესამე ადგილზეა საზღვაო ტრანსპორტი, რომელიც 2014 წელთან შედარებით 9.5 პროცენტით გაიზარდა და 169.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (რომლის 96.4 პროცენტს დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება შეადგენს). სარკინიგზო ტრანს-

პორტით მომსახურების ექსპორტი, რომელიც ძირითადად სატრანზიტო გადაზიდვებზე მოდის, წინა წელთან შედარებით, 13.6 პროცენტით შემცირდა. ამავე პერიოდში, წინა წელთან შედარებით, 1.3 პროცენტით შემცირდა საგზაო ტრანსპორტის ექსპორტი.

ტრანსპორტის იმპორტში 2015 წელს ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (39.4 პროცენტი) ჰქონდა საგზაო ტრანსპორტს, რომლის ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით 4.4 პროცენტი იყო. მოცულობით შემდეგ მოდის საზღვაო ტრანსპორტის იმპორტი (31.9 პროცენტული ხვედრითი წილით), საჰაერო ტრანსპორტით მომსახურების იმპორტი (ხვედრითი წილი 22.2 პროცენტი), სარკინიგზო ტრანსპორტის (ხვედრითი წილი 6.4 პროცენტი) და საფოსტო და კურიერული მომსახურების იმპორტი (ხვედრითი წილი 0.1 პროცენტი).

2.2.3 პირველადი შემოსავალი

2015 წლის განმავლობაში პირველადი შემოსავლის ბალანსმა -312.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ–ს -2.2 პროცენტია. შრომის ანაზღაურების დადებითი ბალანსი ჩამოუვარდებოდა საინვესტიციო შემოსავლის უარყოფით ბალანსს, რაც პირველადი შემოსავლის ანგარიშის უარყოფითი სალდოს მიზეზი იყო. ამასთან, შრომის ანაზღაურების ბალანსის კლება (ძირითადად კრდიტის კლების გამო) აღემატებოდა აბსოლუტურ გამოსახულებაში საინვესტიციო შემოსავლის წმინდა კლებას, შედეგად გაიზარდა პირველადი შემოსავლის ანგარიშის დეფიციტი.

დიაგრამა 2.3 პირველადი შემოსავლის დინამიკა, 2011-2015 წლები



2015 წლის განმავლობაში 17.8 პროცენტით შემცირდა პირველადი შემოსავლის კრედიტი და 844.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მიღებული შემოსავლის ძირითად წყაროს მუშაკთა შრომის ანაზღაურება წარმოადგენდა. 2015 წელს მუშაკთა შრომის ანაზღაურება 574.6 მლნ აშშ დოლარი იყო, რაც მიღებული პირველადი შემოსავლის 68.0 პროცენტია. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით შრომის ანაზღაურების კრედიტი 22.2 პროცენტით შემცირდა. 6.5 პროცენტით არის შემცირებული საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი. ნომინალურ გამოსახულებებში ეს მაჩვენებელი 269.9 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო მიღებულ პირველად შემოსავალში მისი წილი 32.0 პროცენტი იყო.

ცხრილი 2.2.31 პირველადი შემოსავლის კრედიტის მოცულობა და სტრუქტურა, 2011–2015 წლები

	მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)					სტრუქტურა (%)					წლიური ზრდა (%)
	2011	2012	2013	2014	2015	2011	2012	2013	2014	2015	
სულ	**758.0**	**1,077.5**	**922.1**	**1,027.2**	**844.5**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**-17.8**
მუშაკთა შრომის ანაზღაურება	**510.4**	**650.0**	**713.9**	**738.7**	**574.6**	**67.3**	**60.3**	**77.4**	**71.9**	**68.0**	**-22.2**
საინვესტიციო შემოსავალი	**247.6**	**427.5**	**208.2**	**288.5**	**269.9**	**32.7**	**39.7**	**22.6**	**28.1**	**32.0**	**-6.5**
პირდაპირი ინვესტიციები	209.6	393.2	167.8	248.3	212.6	27.6	36.5	18.2	24.2	25.2	-14.4
პორტფელის ინვესტიციები	0.3	0.1	0.0	1.2	4.3	0.0	0.0	0.0	0.1	0.5	246.0
სხვა ინვესტიციები	18.5	16.6	24.9	26.5	41.5	2.4	1.5	2.7	2.6	4.9	56.5

პირველადი შემოსავლების დებეტი 2015 წელს 1.2 მლრდ აშშ დოლარი იყო, რაც წინა წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელზე 6.3 პროცენტით ნაკლებია. შემოსავლის გადინება ძირითადად საინვესტიციო შემოსავალის ხარჯზე მოდის. საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებზე დარიცხულმა შემოსავალმა, 2015 წელს 1.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 7.6 პროცენტით ნაკლებია. საინვესტიციო შემოსავალის მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირი ინვესტორებისათვის გადახდილი დივიდენდებისა და რეინვესტირებული შემოსავლებისგან შედგება 580.4 მლნ აშშ დოლარი. 2015 წელს გაიზარდა საქართველოში განხორციელებულ პორტფელურ ინვესტიციებზე დარიცხული შემოსავლები და მან 142.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 9.0 პროცენტით მეტია. დანარჩენი 347.5 მლნ აშშ დოლარი კი სხვა ინვესტიციებზე მოდის. პირველადი შემოსავლის დებეტში, კრედიტის ანალოგიურ მუხლთან შედარებით, მცირეა უცხო ქვეყნის რეზიდენტებისათვის გადახდილი შრომის ანაზღაურება. 2015 წელს შრომის ანაზღაურება გაიზარდა 13.7 პროცენტით და 86.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი 2.2.32 პირველადი შემოსავლის დებეტის მოცულობა და სტრუქტურა, 2011–2015 წლები

	მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)					სტრუქტურა (%)					წლიური ზრდა (%)
	2011	2012	2013	2014	2015	2011	2012	2013	2014	2015	
სულ	**1,183.0**	**1,226.5**	**1,238.2**	**1,234.5**	**1,156.5**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**-6.3**
მუშაკთა შრომის ანაზღაურება	**70.1**	**82.5**	**83.3**	**75.8**	**86.2**	**5.9**	**6.7**	**6.7**	**6.1**	**7.5**	**13.7**
საინვესტიციო შემოსავალი	**1,113.0**	**1,144.0**	**1,154.8**	**1,158.7**	**1,070.2**	**94.1**	**93.3**	**93.3**	**93.9**	**92.5**	**-7.6**
პირდაპირი ინვესტიციები	800.2	747.2	769.7	749.8	580.4	67.6	60.9	62.2	60.7	50.2	-22.6
პორტფელის ინვესტიციები	76.8	121.5	126.3	130.6	142.4	6.5	9.9	10.2	10.6	12.3	9.0
სხვა ინვესტიციები	236.0	275.3	258.8	278.3	347.5	19.9	22.4	20.9	22.5	30.0	24.9

2.2.4 მეორადი შემოსავალი

მეორადი შემოსავლის ბალანსი 2015 წელს 1.6 მლრდ აშშ დოლარი იყო, რაც 124.2 მლნ დოლარით, ანუ 8.7 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. 2.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა მეორადი შემოსავლის ბალანსის შეფარდება მშპ–თან 2015 წელს და 11.2 პროცენტი შეადგინა (ცე ჰეპატიტის გრანტის გარეშე 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.9 პროცენტი შეადგინა). 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 8.7 პროცენტი იყო.

დიაგრამა 2.4 მეორადი შემოსავლის დინამიკა, 2011-2015 წლები



მეორადი შემოსავლის კრედიტი 2015 წელს 1.7 მლრდ აშშ დოლარი იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელს 5.8 პროცენტით აღემატება. მიღებული ტრანსფერების დიდი წილი სხვა სექტორებზე მოდის. მათ შორის, პერსონალურმა ტრანსფერებმა 884.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც მუშაკთა ფულადი გზავნილები 587.7 მლნ აშშ დოლარია. სხვა მიმდინარე ტრანსფერები 143.4 მლნ აშშ დოლარი იყო. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამთავრობო სექტორის მეორადი შემოსავლის კრედიტი. ზრდა უმეტესად განაპირობა ცე ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში მიღებულმა დახმარებამ 449.1 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. მთლიანად, სამთავრობათაშორისო გრანტებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკური თუ ჰუმანიტარული დახმარებების სახით საქართველოს მთავრობამ 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, 3.7-ჯერ მეტი, ანუ 632.7 მლნ აშშ დოლარის ტრანსფერი მიიღო. კვლავ, შედარებით მცირე იყო მეორადი შემოსავლის დებეტი და წლიურად 102.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ეს თანხა, ძირითადად, საქართველოს რეზიდენტების მიერ სხვა ქვეყნებისათვის გადახდილი გადასახადებისაგან შედგება, რაც ჯამში 83.8 მლნ აშშ დოლარია.

ცხრილი 2.2.41 მეორადი შემოსავლის მოცულობა და სტრუქტურა, 2011–2015 წლები

	მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)					სტრუქტურა (%)					წლიური ზრდა (%)
	2011	2012	2013	2014	2015	2011	2012	2013	2014	2015	
მეორადი შემოსავლის კრედიტი	**1,458.5**	**1,515.9**	**1,584.6**	**1,569.4**	**1,660.3**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**5.8**

	მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)					სტრუქტურა (%)					წლიური ზრდა (%)
	2011	2012	2013	2014	2015	2011	2012	2013	2014	2015	
სამთავრობო სექტორი	258.3	216.3	199.0	172.3	632.7	17.7	14.3	12.6	11.0	38.1	3.7-ჯერ
მათ შორის ცე ჰე-პატიტის ელიმინა-ციის პროგრამის ფარგლებში	-	-	-	-	449.1	-	-	-	-	27.0	
ფინანსური კორპორაციები, არასაფინანსო კორპორაციები, შინამეურნეობები და შმაკოები	1,200.3	1,299.6	1,385.6	1,397.1	1,027.6	82.3	85.7	87.4	89.0	61.9	-26.4
პერსონალური ტრანსფერები (მიმდინარე ტრანსფერები რეზიდენტ და არარეზიდენტ შინამეურნეო-ბებს შორის)	1,036.9	1,120.1	1,231.4	1,247.8	884.2	71.1	73.9	77.7	79.5	53.3	-29.1%
მათ შორის მუშაკთა გზავნილები	617.7	712.4	786.0	761.1	587.7	42.4	47.0	49.6	48.5	35.4	-22.8%
სხვა მიმდინარე ტრანსფერები	163.4	179.5	154.2	149.3	143.4	11.2	11.8	9.7	9.5	8.6	-3.9%
მეორადი შემოსავლის დებეტი	**129.9**	**108.3**	**119.0**	**135.5**	**102.2**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**-24.6%**
სამთავრობო სექტორი	40.5	1.8	1.6	4.6	1.4	31.2	1.7	1.4	3.4	1.4	-69.3%
ფინანსური კორპორაციები, არასაფინანსო კორპორაციები, შინამეურნეობები და შმაკოები	89.3	106.5	117.4	130.9	100.8	68.8	98.3	98.6	96.6	98.6	-23.0%
პერსონალური ტრანსფერები (მიმდინარე ტრანსფერები რეზიდენტ და არარეზიდენტ შინამეურნეო-ბებს შორის)	6.7	4.2	4.4	10.3	9.6	5.2	3.9	3.7	7.6	9.4	-6.4%
სხვა მიმდინარე ტრანსფერები	82.6	102.3	113.0	120.6	91.1	63.6	94.4	95.0	89.0	89.2	-24.5%

შემოსავლებისა და ტრანსფერების ანალიზის კუთხით საინტერესოა, აგრეთვე, საქართველოში სწრაფი ფულადი გზავნილების დინამიკა. ეს კატეგორია მოიცავს როგორც მუშაკთა ფულად გზავნილებს, ასევე მუშაკთა შრომის ანაზღაურებას. სწრაფი ფულადი გზავნილებით საქართველოში ფულის ჩარიცხვამ 2015 წელს 1.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა შეადგინა, 25.0 ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

შედარებით მცირე მოცულობის იყო საქართველოდან სწრაფი ფულადი გზავნილებით თანხის გადარიცხვები. 2015 წელს ეს მაჩვენებელი 170.8 მლნ აშშ დოლარი იყო, რაც 4.1 პროცენტით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

ცხრილი 2.2.42 სწრაფი ფულაფი გზავნილების მოცულობა და სტრუქტურა, 2011–2015 წლები

	მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)					სტრუქტურა (%)					წლიური ზრდა (%)
	2011	2012	2013	2014	2015	2011	2012	2013	2014	2015	
ჩარიცხვა სულ	**1,268.1**	**1,334.2**	**1,477.0**	**1,440.8**	**1,080.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**-25.0**
რუსეთის ფედერაცია	655.2	747.4	801.4	709.2	432.7	51.7	56.0	54.3	49.2	40.1	-39.0
საბერძნეთი	144.6	159.6	198.0	204.8	117.8	11.4	12.0	13.4	14.2	10.9	-42.5
იტალია	109.2	102.9	110.2	121.5	109.1	8.6	7.7	7.5	8.4	10.1	-10.2
აშშ	75.3	74.0	74.9	82.1	100.0	5.9	5.5	5.1	5.7	9.3	21.9
თურქეთი	27.6	30.0	41.7	64.3	68.9	2.2	2.2	2.8	4.5	6.4	7.2
ისრაელი	14.4	16.0	19.7	23.6	32.9	1.1	1.2	1.3	1.6	3.0	39.2
ესპანეთი	31.0	27.8	25.4	28.0	26.8	2.4	2.1	1.7	1.9	2.5	-4.6
გერმანია	13.0	13.2	17.8	24.2	26.7	1.0	1.0	1.2	1.7	2.5	10.1
უკრაინა	52.4	47.4	45.6	30.8	20.9	4.1	3.6	3.1	2.1	1.9	-32.3
გაერთიანებული სამეფო	14.9	19.7	18.6	15.1	16.0	1.2	1.5	1.3	1.0	1.5	6.0
დანარჩენი ქვეყნები	130.5	96.1	123.7	137.1	128.3	10.3	7.2	8.4	9.5	11.9	-6.4
გადარიცხვა სულ	**100.3**	**108.2**	**155.2**	**178.2**	**170.8**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**-4.1**
რუსეთის ფედერაცია	32.5	35.5	51.2	72.8	77.7	32.4	32.8	33.0	40.9	45.5	6.7
უკრაინა	19.5	19.0	22.3	19.1	19.1	19.4	17.6	14.4	10.7	11.2	0.1
საბერძნეთი	11.3	10.4	17.0	18.6	11.2	11.3	9.7	11.0	10.4	6.5	-40.0
აზერბაიჯანი	2.3	3.0	5.2	7.5	7.4	2.2	2.7	3.3	4.2	4.3	-1.5
თურქეთი	3.6	3.6	4.3	5.4	6.5	3.6	3.4	2.8	3.0	3.8	21.2
სომხეთი	2.1	2.9	4.3	5.9	4.8	2.0	2.7	2.7	3.3	2.8	-17.3
უზბეკეთი	2.2	3.3	5.7	4.0	3.7	2.2	3.1	3.7	2.3	2.2	-7.5
ყაზახეთი	1.1	1.6	2.5	3.3	3.7	1.1	1.5	1.6	1.8	2.2	12.9
გერმანია	2.5	3.0	3.6	3.8	3.4	2.5	2.8	2.3	2.1	2.0	-11.3
იტალია	3.3	2.6	3.9	3.7	2.8	3.3	2.4	2.5	2.1	1.7	-24.3
დანარჩენი ქვეყნები	19.9	23.2	35.1	34.1	30.5	19.9	21.4	22.6	19.1	17.8	-10.5

2.3 კაპიტალის ანგარიში

2.3.1 კაპიტალური ტრანსფერები

კაპიტალურ ტრანსფერებს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში. 2011-2015 წლებში წმინდა კაპიტალური ტრანსფერები კლების ტენდენციით გამოირჩევა. ყველაზე მეტი წმინდა კაპიტალური ტრანსფერი 2011 წელს აღინიშნა და ნაკადმა წლის განმავლობაში 145.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წელს წმინდა კაპიტალური ტრანსფერები, წინა წელთან შედარებით, 43.0 პროცენტით შემცირდა. აღნიშნული ტენდენცია ჩანს ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან.

დიაგრამა 2.5 წმინდა კაპიტალური ტრანსფერები, 2011-2015 წლები



2015 წელს წმინდა კაპიტალური ტრანსფერების კლება გამოწვეული იყო მიღებული ტრანსფერების, ანუ კრედიტის, შემცირებით. გასული წლების მსგავსად გაცემული ტრანსფერებს ადგილი არ ჰქონია. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში კაპიტალური ტრანსფერების დინამიკა.

ბოლო წლების განმავლობაში კაპიტალური ტრანსფერების ძირითადი ნაწილი მოდიოდა სამთავრობო სექტორზე. 2015 წელსაც კაპიტალური ტრანსფერების კრედიტის 96.3%-ს სამთავრობო სექტორში განხორციელდა.

ცხრილი 2.3.11 კაპიტალური ტრანსფერები (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	წლიური ზრდა (%)
კაპიტალური ტრანსფერი, წმინდა	**145.8**	**131.6**	**132.5**	**107.9**	**61.5**	**-43.0**
კრედიტი	145.8	131.6	132.5	107.9	61.5	-43.0
დებეტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სამთავრობო სექტორი	**136.1**	**124.0**	**128.7**	**106.0**	**59.3**	**-44.0**
კრედიტი	136.1	124.0	128.7	106.0	59.3	-44.0
დებეტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საფინანსო კორპორაციები, არასაფინანსო კორპორაციები, შინამეურნეობები და შმაკოები	**9.8**	**7.6**	**3.9**	**2.0**	**2.2**	**14.8**
კრედიტი	9.8	7.6	3.9	2.0	2.2	14.8
დებეტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

კაპიტალის ანგარიშის მეორე კომპონენტის, „არამწარმოებლური არაფინანსური აქტივების შეძენა-გაყიდვა", ოპერაციებს 2011-2015 წლებში ადგილი პრაქტიკულად არ ჰქონია.

2015 წელს, წინა წლების მსგავსად, უარყოფითი იყო მიმდინარე ანგარირიშისა და კაპიტალის ანგარიშის ჯამური ბალანსი, რაც შეესაბამება საქართველოს ეკონომიკის წმინდა სესხებას დანარჩენი მსოფლიოსგან. საანგარიშო წელს ქვეყნის წმინდა სესხება 1.9 პროცენტით შემცირდა და 1.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

2.4 ფინანსური ანგარიში

2.4.1 პირდაპირი ინვესტიციები

საქართველოში შემოსულმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაშთმა 2015 წლის ბოლოსათვის 13.0 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 3487.9 აშშ დოლარია.

დიაგრამა 2.6 საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2011-2015 წლები



ცხრილი 2.3.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება (ნაკადი), 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015
ფინანსური აქტივების შეძენა, წმინდა	**182.7**	**216.9**	**127.3**	**406.6**	**315.7**
ფინანსური ვალდებულებების აღება, წმინდა	**1,084.3**	**831.3**	**956.3**	**1,749.7**	**1,571.0**
სააქციო კაპიტალი	**489.9**	**762.9**	**699.6**	**1,191.6**	**1,488.1**
რეინვესტირებული შემოსავლები	**350.3**	**145.0**	**268.5**	**311.6**	**146.2**
სავალო ინსტრუმენტები	**244.1**	**-76.6**	**-11.8**	**246.4**	**-63.3**

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი შემოდინება 2014 წელს დაფიქსირდა (1.7 მლრდ აშშ დოლარი). 2012 წლის 23.3 პროცენტიან კლებას მოყვა 15.0 პროცენტიანი ზრდა 2013 წელს, ხოლო 2014 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპმა 83.0 პროცენტი შეადგინა; 2015 წელს ინვესტიციები წინა წელთან შედარებით შემცირდა, მაგრამ კვლავ მაღალი იყო (1.6 მლრდ აშშ დოლარი) აქედან, სააქციო კაპიტალის წილად მოდიოდა 1.5 მლრდ აშშ დოლარი, რეინვესტირებული შემოსავლების წილად - 146.2 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სავალო ინსტრუმენტების წილად – -63.3 მლნ აშშ დოლარი.

დიაგრამა 2.7 2015 წელს შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქმიანობის სახეების მიხედვით, 2011-2015 წლები



* ვაჭრობა; განათლება; ჯანდაცვა; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება.

2015 წელს შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 0.9 პროცენტი სოფლის მეურნეობისკენ იყო მიმართული. მრეწველობაში ჩადებული ინვესტიციების წილი 9.9 პროცენტს შეადგენდა. დანარჩენი ინვესტიციები განხორციელდა მომსახურების სფეროში და შემდეგნაირად განაწილდა: ინვესტიციების ყველაზე მაღალი შემოდინება (37.4 პროცენტი) ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სფეროში განხორციელდა, რომლის უდიდეს ნაწილს სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოების პროექტთან დაკავშირებული ინვესტიცია შეადგენდა. აღნიშნული პროექტის ღირებულება 2 მლრდ დოლარს უტოლდება. ენერგოსექტორში მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, წინა წელთან შედარებით, შემცირებული იყო (34.9 პროცენტით) და მთლიანი ინვესტიციების 7.9 პროცენტს შეადგენდა. გაიზარდა საფინანსო სექტორის მიერ მოზიდული ინვესტიციები და მთლიანი ინვესტიციების 11.4 პროცენტი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 5.7 პროცენტი მოდიოდა უძრავ ქონებაზე; 8.9 პროცენტი - სასტუმროებსა და რესტორნებზე; 7.1 პროცენტი - სამშენებლო სექტორზე, ხოლო დანარჩენი ინვესტიციები - სხვა სახის მომსახურებებზე.

2.4.2 პორტფელის ინვესტიციები

2015 წელს პორტფელის ინვესტიციების სალდო ოპერაციულად 153.7 მლდ აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან, ვალდებულებები 70.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, ძირითადად საბანკო და სხვა სექტორების სავალო ფასიანი ქაღალდების ოპერაციული ცვლილების გამო. აქტივების მატება (82.8 მლნ აშშ დოლარი), ძირითადად, გამოწვეულია კომერციული ბანკების მხრიდან, არარეზიდენტების მიერ გამოშვებული, ლარში დენომინირებული ფასიანი ქაღალდების შეძენით.

ცხრილი 2.3.4 პორტფელის ინვესტიციები, 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015
პორტფელის ინვესტიციები	**-133.4**	**-848.4**	**36.6**	**-209.5**	**153.7**
ფინანსური აქტივების შესყიდვა, წმინდა	**0.0**	**33.1**	**-6.0**	**37.5**	**82.8**
სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები	-0.1	31.1	-8.0	-8.6	0.3
სავალო ფასიანი ქაღალდები	0.1	2.1	2.0	46.2	82.4
ფინანსური ვალდებულებების აღება, წმინდა	**133.4**	**881.5**	**-42.6**	**247.0**	**-70.9**
სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები	-7.2	73.6	1.3	209.6	4.9
დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა	-7.3	72.8	-0.3	206.5	3.3
სამთავრობო სექტორი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა სექტორები	0.1	0.8	1.7	3.0	1.5
სავალო ფასიანი ქაღალდები	140.5	807.9	-43.9	37.4	-75.8
დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა	96.4	189.7	127.9	30.6	-49.7
სამთავრობო სექტორი	43.6	106.3	-171.8	5.8	1.5
სხვა სექტორები	0.5	511.9	0.1	1.0	-27.6

2.4.3 ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე

ფინანსური წარმოებულები, როგორც ფინანსური ანგარიშის დამოუკიდებელი კომპონენტი, არც თუ ისე დიდი ხანია რაც არსებობს. ადრე ის შედიოდა პორტფელის ინვესტიციებში. ფინანსური ბაზრების განვითარების შედეგად, ფინანსური წარმოებულების როლი ფინანსურ ოპერაციებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და ამიტომ, მიზანშეწონილად ჩაითვალა მათი დამოუკიდებლად ჩვენება მთელ რიგ სტატისტიკურ ანგარიშებში. ფინანსური ბაზარი საქართველოში ჯერ ჩამოყალიბების სტადიაშია, ამიტომ ისეთი რთული ფინანსური ისტრუმენტებით, როგორიცაა ფინანსური წარმოებულები, ოპერაციები უმნიშვნელოა და ამ ეტაპზე მხოლოდ რამდენიმე ბანკის მიერ ხორციელდება. მაგრამ შეიმჩნევა აღნიშნული ბაზრის განვითარების ტენდენცია. საწყის ეტაპზე გამოიყენებოდა მხოლოდ ერთი სახის ფინანსური წარმოებული - სავალუტო სვოპი. 2008 წლის მეოთხე კვარტალიდან გამოჩნდა ფინანსური წარმოებულების ახალი ინსტრუმენტები, როგორიცაა ფიუჩერსები ოქროსა და ნავთობზე. 2015 წელს ფინანსური წარმოებულების ანგარიშის სალდომ 1.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2.4.4 სხვა ინვესტიციები

სხვა ინვესტიციების ანგარიშზე 2015 წელს დაფიქსირდა წმინდა უცხოური ინვესტიციების შემოდინება 499.3 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. აქედან, რეზიდენტების უცხოური აქტივების ოპერაციული ზრდა 755.9 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო უცხოური ვალდებულებების - 1.3 მლრდ აშშ დოლარს.

დიაგრამა 2.8 სხვა ინვესტიციები – აქტივები, 2011-2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)



აქტივების ანგარიშის ყველა კომპონენტი, სავაჭრო კრედიტების გარდა, ოპერაციულად გაზრდილი იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა დეპოზიტების ანგარიშზე - 651.4 მლნ აშშ დოლარი; სესხები გაიზარდა 126.7 მლნ აშშ დოლარით; სხვა აქტივები - 10.0 მლნ აშშ დოლარით; ხოლო სავაჭრო კრედიტები შემცირდა 32.2 მლნ აშშ დოლარით.

დიაგრამა 2.9 სხვა ინვესტიციები – ვალდებულებები, 2011-2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)



სხვა ინვესტიციების ვალდებულებების ყველა კომპონენტი, სხვა ვალდებულებების გარდა, დადებითი იყო. ყველაზე მეტი სახსრების შემოდინება სხვა სექტორის სესხის სახით მოხდა. ამავდროულად, ეროვნული ბანკის სასესხო ვალდებულებები ოპერაციულად შემცირდა 21.7 მლნ აშშ დოლარით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტის დაფარვის შედეგად. საბანკო სექტორის და მთავრობის

სასესხო ვალდებულებები კი გაიზარდა 298.1 მლნ აშშ დოლარით და 134.3 მლნ აშშ დოლარით. ვალდებულებები არარეზიდენტების დეპოზიტების სახით ოპერაციულად 264.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

ცხრილი 2.3.5 გრძელვადიანი საგარეო სესხი, 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015
გრძელვადიანი საგარეო სესხი, სულ	**638.3**	**416.6**	**27.7**	**309.8**	**922.6**
ეროვნული ბანკი	**-59.5**	**-233.8**	**-241.6**	**-70.2**	**-21.7**
სსფ სესხები და კრედიტები	-59.5	-233.8	-241.6	-70.2	-21.7
სხვა გრძელვადიანი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა	**31.1**	**3.0**	**-46.4**	**-46.1**	**115.2**
სამთავრობო სექტორი	**275.6**	**385.6**	**141.7**	**289.7**	**298.1**
სსფ სესხები და კრედიტები	-0.1	-12.4	-140.7	-66.3	-51.6
სხვა გრძელვადიანი	275.7	398.1	282.4	356.0	349.8
სხვა სექტორები	**391.1**	**261.8**	**174.0**	**136.4**	**530.9**

2015 წელს საქართველოს გრძელვადიანი საგარეო სესხი ოპერაციულად 922.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ამავდროულად, ეროვნული ბანკის სესხი შემცირდა 21.7 მლნ აშშ დოლარით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტის დაფარვის გამო. საპირისპიროდ, სამთავრობო, დეპოზიტური კორპორაციების და სხვა სექტორების გრძელვადიანი სესხები, შესაბამისად, გაიზარდა 298.1 მლნ აშშ დოლარით, 115.2 მლნ აშშ დოლარით და 530.9 მლნ აშშ დოლარით.

2.4.5 საერთაშორისო რეზერვები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყნის ოფიციალურმა სარეზერვო აქტივებმა 2.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 178.4 მლნ აშშ დოლარით, 6.6 პროცენტით ნაკლებია. აქედან, ოპერაციული ცვლილება 99.4 მლნ აშშ დოლარი იყო. დანარჩენი შემცირება საკურსო და სხვა ცვლილებებით იყო გამოწვეული.

დიაგრამა 2.10 ოფიციალური რეზერვები, 2011-2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)



საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობის ცვლილებაზე 2015 წლის განმავლობაში, ტრადიციულად, რამდენიმე ფაქტორი მოქმედებდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონები, მთავრობის სავალუტო ხარჯები და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები და გრანტები. წლის განმავლობაში სავალუტო აუქციონებით ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვებმა 287.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და დონორი ქვეყნებიდან მიღებულმა სესხებმა და გრანტებმა კი - ჯამში 258.0 მლნ აშშ დოლარი. გასული წელი განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული ბანკისა და ქვეყნის მთავრობის დავალიანების მსხვილი დაფარვებით, რაც შემცირების მიმართულებით მოქმედებდა საერთაშორისო რეზერვების მოცულობაზე. წლის განმავლობაში საგარეო ვალების მომსახურებისთვის გაწეულმა ხარჯმა 266 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მიუხედავად ამისა, მოხერხდა რეზერვების ადეკვატურ დონეზე შენარჩუნება. საერთაშორისო რეზერვების ფარდობამ საქონლისა და მომსახურების თვის იმპორტთან 2015 წელს 3.3 შეადგინა, რაც აკმაყოფილებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მდგრადობის კრიტერიუმს.

3. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია

საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია უარყოფითია და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -18.2 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს (მშპ-ს 130.1 პროცენტი). 2015 წელს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია 3.8 პროცენტით, ანუ 658.0 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა. ოპერაციით გამოწვეულმა ცვლილებამ -1.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, საკურსომ - 1.5 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო ფასის და სხვა ცვლილებებმა ერთად - -503.3 მლნ აშშ დოლარი.

დიაგრამა 3.1 საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, 2011-2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)



2015 წლის ბოლოს მთლიანი საგარეო აქტივები 7.2 მლრდ აშშ დოლარი იყო, რაც 607.7 მლნ აშშ დოლარით (9.2 პროცენტით) არის გაზრდილი წინა წლის ბოლოსთან შედარებით. საგარეო აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს (2.5 მლრდ აშშ დოლარი) ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები შეადგენს. ასევე, დიდი წილი აქვს სხვა ინვესტიციებს – 2.6 მლრდ აშშ დოლარი; აქ ძირითადად წარმოდგენილია ნაღდი ფული და დეპოზიტები, სესხები და სავაჭრო კრედიტები

და ავანსები. ეროვნული ბანკის სარეზერვო აქტივებს საქართველოს მთლიანი უცხოური აქტივების 35.0 პროცენტი, ხოლო სხვა ინვესტიციებს - 36.4 პროცენტი უჭირავთ. უცხოური აქტივების მატება, ძირითადად, გამოწვეული იყო სხვა ინვესტიციების აქტივების (საბანკო სექტორში სესხებისა და დეპოზიტების) და საზღვარგარეთ განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მატებით, შესაბამისად, 655.5 და 70.9 მლნ აშშ დოლარით. წლის განმავლობაში შემცირდა საქართველოს ეროვნული ბანკის სარეზერვო აქტივები (178.4 მლნ აშშ დოლარით), ხოლო აქტივები პორტფელის ინვესტიციებში გაიზარდა (60.7 მლნ აშშ დოლარით).

ცხრილი 3.1 საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	31/12/11	31/12/12	31/12/13	31/12/14	31/12/15
საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, წმინდა	**-13,767.0**	**-15,744.7**	**-16,105.8**	**-17,508.6**	**-18,166.6**
აქტივები	**5,269.7**	**5,924.1**	**6,178.3**	**6,595.2**	**7,202.9**
პირდაპირი ინვესტიციები	1,182.8	1,407.0	1,524.8	1,867.7	1,938.7
პორტფელის ინვესტიციები	1.9	34.5	27.4	61.7	122.4
ფინანსური წარმოებულები (რეზერვების გარდა) და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე	4.2	0.0	0.1	1.1	0.1
სხვა ინვესტიციები	1,262.6	1,609.6	1,802.7	1,965.5	2,621.0
ნაღდი ფული და დეპოზიტები	831.8	1,144.1	1,283.5	1,296.0	1,906.6
სესხები	94.6	107.3	143.8	216.0	333.3
სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სავაჭრო კრედიტები და ავანსები	320.5	336.2	363.1	438.0	356.8
სხვა მოთხოვნები (დებიტორული დავალიანება)	15.6	22.0	12.4	15.4	24.2
სარეზერვო აქტივები	2,818.3	2,873.0	2,823.4	2,699.2	2,520.7
ვალდებულებები	**19,036.7**	**21,668.7**	**22,284.1**	**24,103.9**	**25,369.5**
პირდაპირი ინვესტიციები	9,774.5	10,519.7	11,546.9	12,968.6	12,953.2
პორტფელის ინვესტიციები	1,389.6	2,496.5	1,938.6	2,222.8	2,093.8
ფინანსური წარმოებულები (რეზერვების გარდა) და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე	0.4	0.4	0.3	0.0	0.1
სხვა ინვესტიციები	7,872.3	8,652.1	8,798.2	8,912.4	10,322.5
ნაღდი ფული და დეპოზიტები	510.9	770.6	906.3	1,002.4	1,226.0
სესხები	6,668.6	7,053.6	6,988.9	7,068.1	8,247.1
სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სავაჭრო კრედიტები და ავანსები	468.0	605.3	679.0	626.2	648.5
სხვა ვალდებულებები - სხვა (კრედიტორული დავალიანება)	3.7	1.4	2.3	7.0	1.4
ნასესხობის სპეციალური უფლებები (წმინდა ვალდებულებების აღება)	221.1	221.3	221.7	208.6	199.5

2015 წლის განმავლობაში მთლიანი საგარეო ვალდებულებები 5.3 პროცენტით (1.3 მლრდ აშშ დოლარით) გაიზარდა და წლის ბოლოს 25.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგარეო ვალდებულებების ნახევარზე მეტი (51.0 პროცენტი) პირდაპირ ინვესტიციებზე მოდის - 13.0

მლრდ აშშ დოლარი. პორტფელის ინვესტიციების წილი ქვეყნის საგარეო ვალდებულებებში 8.3 პროცენტია და 2.1 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. დიდი წილი აქვს სხვა ინვესტიციებს - 40.7 პროცენტი (10.3 მლრდ აშშ დოლარი), რომლის უდიდეს ნაწილს არარეზიდენტებისგან აღებული სესხები წარმოადგენს.

ვალდებულებების ზრდა, ძირითადად, ოპერაციების ხარჯზე მოხდა (2.7 მლრდ აშშ დოლარი), რომლის 57.3 პროცენტი პირდაპირ ინვესტიციებზე მოდის, რაც დადებითი ფაქტია. საკურსო ცვლილებით გამოწვეული საგარეო ვალდებულებების შემცირება 2015 წელს 2.0 მლრდ აშშ დოლარით მოხდა, რაც გამოიწვია პირდაპირი ინვესტიციების საკურსო ცვლილებებმა -1.5 მლრდ აშშ დოლარით. ვალდებულებების ფასის ცვლილებამ -24.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, სხვა ცვლილებებმა საგარეო ვალდებულებების მატება გამოიწვია 529.0 მლნ აშშ დოლარით. ყოველივე ამის შედეგად, საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციაში ვალდებულებებმა 2015 წლის 31 დეკემბრისათვის 25.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

4. საგარეო ვალი

მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა ჰარმონიზებულია საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკასთან. აქაც გამოიყოფა ეკონომიკის ოთხი ძირითადი სექტორი: სამთავრობო, ეროვნული ბანკი, დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა და სხვა სექტორები. გარდა ამისა, ცალკე აისახება კომპანიათაშორისი სესხები. სხვა სექტორები იყოფა ორ ქვესექტორად. ესენია: სხვა საფინანსო კორპორაციები და არასაფინანსო კორპორაციები.

დიაგრამა 4.1 საგარეო ვალი ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2015 წელი (მლნ აშშ დოლარი)



2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 15.1 მლრდ აშშ დოლარი (მშპ-ს 108.0 პროცენტი) იყო. აქედან სამთავრობო სექტორის ვალი შეადგენდა 4.4 მლრდ აშშ დოლარს (მშპ-ს 31.4 პროცენტს), ეროვნული ბანკის ვალი – 219.2 მლნ აშშ დოლარს (მშპ-ს 1.6 პროცენტს), დეპოზიტური კორპორაციების ვალი – 3.0 მლრდ აშშ დოლარს, სხვა სექტორების ვალი – 4.5 მლრდ აშშ დოლარს და კომპანიათაშორისი ვალი – 3.0 მლრდ აშშ დოლარს.

საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის მნიშვნელოვან ნაწილს სხვა სექტორების სასესხო ვალდებულებები წარმოადგენს. მას მთლიანი საგარეო ვალის

29.9 პროცენტი უჭირავს. მთლიანი საგარეო ვალის 29.1 პროცენტი სამთავრობო სექტორის საგარეო ვალზე მოდის. პირდაპირი ინვესტორების მიერ თავიანთი შვილობილი კომპანიებისათვის მიცემული სესხები, ანუ კომპანიათშორისი სესხები 20.0 პროცენტია, დეპოზიტური კორპორაციების საგარეო ვალი - 19.6 პროცენტი. სხვა სექტორების საგარეო ვალდებულებების ძირითად ნაწილს, 94.6 პროცენტს, არასაფინანსო კორპორაციების ვალდებულებები შეადგენს. ეს მაჩვენებელი მთლიანი საგარეო ვალის 28.3 პროცენტია და 4.3 მლრდ აშშ დოლარს აღწევს. საგარეო ვალის აღნიშნულ კომპონენტებთან შედარებით კვლავ მცირეა ეროვნული ბანკის ვალდებულებები, რომელიც მთლიანი საგარეო ვალის 1.5 პროცენტს შეადგენს.

ზოგად წარმოდგენას, საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის შესახებ 2015 წლის ბოლოსათვის, გვაძლევს ცხრილი 4.1. ცხრილში შემოკლებული ფორმით არის წარმოდგენილი საგარეო ვალის განაწილება ეკონომიკის ძირითადი სექტორებისა და ვადიანობის მიხედვით.

ცხრილი 4.1 საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი, 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	31/12/11	31/12/12	31/12/13	31/12/14	31/12/15	2015 წლის სტრუქტურა (%)
სამთავრობო სექტორი	**3,691.3**	**4,245.8**	**4,185.1**	**4,249.9**	**4,385.1**	**29.1**
მოკლევადიანი	4.6	30.0	1.7	12.0	9.2	0.1
გრძელვადიანი	3,686.7	4,215.8	4,183.4	4,237.9	4,375.9	29.0
ეროვნული ბანკი	**815.4**	**582.3**	**338.2**	**251.8**	**219.2**	**1.5**
მოკლევადიანი	0.4	0.7	0.7	0.6	0.3	0.0
გრძელვადიანი	815.0	581.6	337.6	251.2	218.9	1.5
დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა	**2,119.6**	**2,468.5**	**2,646.9**	**2,683.4**	**2,957.1**	**19.6**
მოკლევადიანი	875.4	992.6	1,010.7	1,109.5	1,332.5	8.8
გრძელვადიანი	1,244.2	1,475.9	1,636.2	1,573.9	1,624.7	10.8
სხვა სექტორები	**2,234.6**	**3,321.4**	**3,460.4**	**3,570.9**	**4,503.4**	**29.9**
მოკლევადიანი	474.0	660.5	701.5	655.8	681.0	4.5
გრძელვადიანი	1,760.6	2,660.9	2,758.9	2,915.1	3,822.5	25.4
სხვა საფინანსო კორპორაციები	**99.3**	**171.6**	**186.9**	**220.1**	**241.3**	**1.6**
მოკლევადიანი	2.9	7.5	14.7	14.3	14.0	0.1
გრძელვადიანი	96.5	164.2	172.2	205.7	227.3	1.5
არასაფინანსო კორპორაციები	**2,135.3**	**3,149.7**	**3,273.4**	**3,350.8**	**4,262.1**	**28.3**
მოკლევადიანი	471.2	653.1	686.8	641.5	666.9	4.4
გრძელვადიანი	1,664.1	2,496.7	2,586.7	2,709.3	3,595.2	23.8
პირდაპირი ინვესტიციები: კომპანიათაშორისი სესხები	**2,724.9**	**2,662.9**	**2,648.4**	**3,074.1**	**3,012.9**	**20.0**
მთლიანი საგარეო ვალი	**11,585.8**	**13,280.9**	**13,278.9**	**13,830.0**	**15,077.8**	**100.0**

2015 წლის ბოლოს საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის ძირითად ნაწილს გრძელვადიანი ვალი (მთლიანი ვალის 86.0 პროცენტს) შეადგენს, ხოლო მოკლევადიანი ვალი მხოლოდ 14.0 პროცენტია.

ცხრილი 4.2 საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი ვადიანობის მიხედვით, 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	31/12/11	31/12/12	31/12/13	31/12/14	31/12/15	2015 წლის სტრუქტურა (%)
მოკლევადიანი	1,535.6	1,862.3	1,860.0	1,969.8	2,118.2	14.0
გრძელვადიანი	10,050.2	11,418.6	11,418.9	11,860.1	12,959.6	86.0
სულ	**11,585.8**	**13,280.9**	**13,278.9**	**13,830.0**	**15,077.8**	**100.0**

საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის 94.9 პროცენტი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, რაც 14.3 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. ხოლო დანარჩენი 5.1 პროცენტი ანუ 773.4 მლნ აშშ დოლარი ეროვნულ ვალუტაში აღებულ ვალდებულებებს წარმოადგენს.

ცხრილი 4.3 საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, 2011–2015 წლები (მლნ აშშ დოლარი)

	31/12/11	31/12/12	31/12/13	31/12/14	31/12/15	2015 წლის სტრუქტურა (%)
ვალი უცხოურ ვალუტაში						
მოკლევადიანი	1,182.4	1,419.1	1,355.3	1,397.3	1,741.7	11.6
გრძელვადიანი	9,805.1	11,013.8	11,082.9	11,478.3	12,562.8	83.3
სულ	**10,987.6**	**12,432.9**	**12,438.2**	**12,875.6**	**14,304.4**	**94.9**
ვალი ეროვნულ ვალუტაში						
მოკლევადიანი	353.2	443.2	504.7	572.5	376.6	2.5
გრძელვადიანი	245.0	404.8	336.0	381.8	396.8	2.6
სულ	**598.2**	**848.0**	**840.7**	**954.3**	**773.4**	**5.1**
მთლიანი საგარეო ვალი	**11,585.8**	**13,280.9**	**13,278.9**	**13,830.0**	**15,077.8**	**100.0**

ცხრილი 4.4 საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი, 2015 წელი (მლნ აშშ დოლარი)

	31/12/14	ცვლილებები საანგარიშო პერიოდში				31/12/15
		საოპერაციო	საკურსო	ფასის	სხვა	
სამთავრობო სექტორი	**4,249.9**	**299.6**	**-159.7**	**-4.7**	**0.0**	**4,385.1**
მოკლევადიანი	12.0	-1.6	-1.2	0.0	0.0	9.2
გრძელვადიანი	4,237.9	301.2	-158.5	-4.7	0.0	4,375.9
ეროვნული ბანკი	**251.8**	**-21.7**	**-10.8**	**0.0**	**0.0**	**219.2**
მოკლევადიანი	0.6	-0.1	-0.2	0.0	0.0	0.3
გრძელვადიანი	251.2	-21.7	-10.6	0.0	0.0	218.9
დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა	**2,683.4**	**344.1**	**-78.6**	**3.8**	**4.5**	**2,957.1**
მოკლევადიანი	1,109.5	265.7	-47.2	0.0	4.5	1,332.5

	31/12/14	ცვლილებები საანგარიშო პერიოდში				31/12/15
		საოპერაციო	საკურსო	ფასის	სხვა	
გრძელვადიანი	1,573.9	78.3	-31.4	3.8	0.0	1,624.7
სხვა სექტორები	**3,570.9**	**557.6**	**-170.3**	**-18.6**	**563.9**	**4,503.4**
მოკლევადიანი	655.8	54.9	-84.1	0.0	54.3	681.0
გრძელვადიანი	2,915.1	502.7	-86.3	-18.6	509.6	3,822.5
სხვა საფინანსო კორპორაციები	**220.1**	**28.3**	**-4.5**	**0.0**	**-2.5**	**241.3**
მოკლევადიანი	14.3	1.4	-0.2	0.0	-1.5	14.0
გრძელვადიანი	205.7	26.9	-4.3	0.0	-1.0	227.3
არასაფინანსო კორპორაციები	**3,350.8**	**529.3**	**-165.8**	**-18.6**	**566.4**	**4,262.1**
მოკლევადიანი	641.5	53.4	-83.9	0.0	55.8	666.9
გრძელვადიანი	2,709.3	475.8	-81.9	-18.6	510.6	3,595.2
პირდაპირი ინვესტიციები: კომპანიათაშორისი სესხები	**3,074.1**	**-63.3**	**-97.9**	**0.0**	**100.0**	**3,012.9**
მთლიანი საგარეო ვალი	**13,830.0**	**1,116.2**	**-517.3**	**-19.5**	**668.4**	**15,077.8**

2015 წლის განმავლობაში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი გაიზარდა 1.2 მლრდ აშშ დოლარით. საანგარიშო პერიოდში გაიზარდა სამთავრობო სექტორის, დეპოზიტური კორპორაციების და სხვა სექტორების სასესხო ვალდებულებები. მათი ზრდა წლის განმავლობაში, შესაბამისად, 135.2 მლნ აშშ დოლარი, 273.8 მლნ აშშ დოლარი და 932.5 მლნ აშშ დოლარი იყო. საპირისპიროდ, შემცირდა ეროვნული ბანკის საგარეო სავალო ვალდებულებები და კომპანიათაშორისი სესხები, წლიური კლება32.5მლნაშშდოლარიდა61.2მლნაშშ დოლარი იყო.

წლის განმავლობაში გაიზარდა უცხოურ ვალუტაში აღებული ვალი (1.4 მლრდ აშშ დოლარით) და, საპირისპიროდ, შემცირდა ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები (181.0 მლნ აშშ დოლარით).

